საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 23 იანვარი, 2015 წელი.

№13 (7658)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბორბოტება, როგორც ლაკმუსი

ვაზაგაშვილის საქმის გაუხსნელობა ხელისუფლებისგან საზოგადოების კიდევ უფრო დისტანცირებასა და გაუცხოებას გამოიწვევს 2

გაგი მოსიაშვილი: სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ინფორმაციამ საგამოძიებო უწყებიდან გაჟონა 3

საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გაეროში

საქართველოს **საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გაეროს უშიშროების საბჭოს 28-ე სხდომაზე საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა.**

სხდომაზე, რომელიც უკრაინაში არსებულ კრიზისს დაეთმო, საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და ლიტვის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გააკეთეს.

„სახიფათოა, რომ რუსეთის ქმედებები „ახალ ნორმად“ იქცეს. ჩვენ ეს სტრატეგია მანამდე ვნახეთ ყირიმში, ხოლო უფრო ადრე — საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში და დნეპრისპირეთში. მოსკოვის მიერ ინსპირირებული ყველა კრიზისი ერთმანეთის მსგავსია — ჩამოაჭრა მეზობელ ქვეყანას ტერიტორია და აქციო ის გაყინულ კონფლიქტად“, — განაცხადა გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სამანტა პაუერმა.

მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებაზე გაამახვილა ყურადღება გაეროში გაერთიანებული სამეფოს ელჩმა მარკ გრანტმა. როგორც მან აღნიშნა, ე.წ. ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის უკვე მოეწერა ხელი, ხოლო სამხრეთ ოსეთთან ხელმოსაწერად მზადდება, **„მეზობელი ქვეყნის შიდა საქმეებში რუსეთის ჩარევის მოდელს და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფას წარმოადგენს“.**

საქართველოს საკითხი წინ წამოსწია ასევე გაეროში ლიტვის მუდმივმა წარმომადგენელმა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბრის შეთანხმებების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მაგივრად, რუსეთი კვლავ აგრძელებს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ანექსიას და აღნიშნულის შენიღბვას მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმებით ცდილობს.

„მოვუწოდებთ რუსეთს დაიცვას გაეროს ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპები და შეწყვიტოს ექსპანსიონისტური და რევანშისტული პოლიტიკა, რომელიც სიტუაციის დესტაბილიზაციისკენაა მიმართული“, — განაცხადა რაიმონდა მურმოკაიტემ.

სომხებს აკადემიურად უნდა დავუმტკიცოთ, რომ სადავო ეკლესიების რიცხვი ძალიან გაზვიადებულია!



5

რუბლის კრიზისი უკვე სერიოზულად აისახა საქართველოზე 4

თვის ბოლომდე 7 გაძვირება დაიწყება

სამყარო ჩემთვის ერთბაშად ფერადი გახდა 4

მაგთი MAGTI

მაგთიკომის გათამაშებაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

„მსოფლიო ლიდერთა არაფორმალური შეხვედრა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „მსოფლიო ლიდერებთან ერთად არაფორმალურ შეხვედრაში“ მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე სტრატეგიული კონკურენციის

ახალ გლობალურ კონტექსტზე ისაუბრეს.

სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ბოლო პერიოდში მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ბოლო თვეებსა და წლებში მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა; აგრესიული სეპარატიზმის, სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების ახალი ტალღები, ასევე ტერორიზმის მზარდი საშიშროება და სხვა გლობალური მნიშვნელობის პრობლემები საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ფუნდამენტური თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებათა ძირეულ პრინციპებს.

„საქართველოში ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ დემოკრატიის გაძლიერება არის ჩვენი საზოგადოების სტრატეგიული პრიორიტეტი და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა ჩვენს ქვეყანაში განვამტკიცოთ ძირითადი თავისუფლებები, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. ამავე დროს, ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებები უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის ცენტრში, იქნება ეს სახელმწიფოთაშორისი თუ შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობები. ჩვენ ასევე გვჯერა, რომ მხოლოდ დემოკრატიულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს, ერთიანდებიან ალიანსებში და კავშირებში, შეუძლიათ ისეთ თანამშრომლობაში მონაწილეობა, რომელიც დაკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს“, — აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

„მსოფლიო ლიდერთა არაფორმალურ შეხვედრას“ სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი პროფესორი კლაუს შვაბი, ეუთოს გენერალური მდივანი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი და მსხვილი ბიზნესკომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი დალია გრიბაუსკაიტეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლიტვის პრეზიდენტს დალია გრიბაუსკაიტეს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-ლიტვის ახლო პარტნიორული ურთიერთობები განიხილეს.

შეხვედრა დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გაიმართა.

ლიტვის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა და დადებითად შეაფასა ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს მთავრობა რუსეთის მიმართ აწარმოებს. მხარეებმა ორი ქვეყნის მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს. ყურადღება გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკურ და საინვესტიციო ურთიერთობებზე. პრემიერმა მადლობა გადაუხადა დალია გრიბაუსკაიტეს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესებში მხარდაჭერისთვის.

◎ ალიან-ჩალიანი

პრეზიდენტს ბაქოს სამიტზე ელიან

საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტების სამმხრივი სამიტი წელს ბაქოში გაიმართება. ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი აბაშიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, სამიტი, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკური როლის გაძლიერებას შეუწყობს ხელს, ყოველწლიური იქნება და ის აზერბაიჯანის შემდეგ, მომავალ წელს უკვე თურქეთში ჩატარდება.

„როგორც მოგეხსენებათ, გასულ წელს საქართველოში ჩატარდა სამი ქვეყნის პირველი პირების — საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტების სამმხრივი სამიტი. მოგეხსენებათ და ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი მისი ყველა ვიზიტის დროს საუბრობს, ჩვენი მიზანია საქართველოს გეოპოლიტიკური როლის გაძლიერება, როგორც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ქვეყნის. ამ მიმართულებით, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული სამი ქვეყნის თანამშრომლობას“, — განაცხადა აბაშიშვილმა.

სარეზერვო ფონდი დააფინანსებს

სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა გაწულ წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 740 000 ლარით დაფინანსდა. ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელმაც მედიას პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის წლიური ანგარიში გააცნო.

„საქართველოს პრეზიდენტისთვის და ყველა ჩვენგანისთვის სასამართლოს ინსტიტუციური გაძლიერება უმნიშვნელოვანესადაა მიჩნეული. ვინაიდან სწორედ მოსამართლეა, რომელზეც დგას მთლიანად სასამართლო ხელისუფლება, შესაბამისი პროექტის ბენეფიციარები სწორედ შესაბამისი ასოციაციებია — იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მოსამართლეთა ასოციაცია და მოსამართლეთა ერთობა“, — განაცხადა პატარაიამ.

მისივე განმარტებით, პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულებაა: განათლების დონის ამაღლებით მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდა, მართლმსაჯულების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მართლმსაჯულების სისტემაში ინდივიდუალური მოსამართლის როლის გაზრდა.

ვის დაკავებას გეგმავდა გამოძიება ვაზაგაშვილის საქმეზე?

ბუტა რობაქიძის მამის სოსო რობაქიძის ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარე კვირაში ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე რამდენიმე პირის დაკავებას აპირებდა. როგორც რობაქიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს რეალური ინფორმაციაა.

„საქმე მიდიოდა დამთავრებისკენ. ზუსტად ამაშია საქმე, რომ ვიღაცას ეს არ აწყობდა. კონკრეტულ პირებს ვერ დავასახელებ, რადგან ეს გამოძიების საქმეა. ალბათ, ამ პროცესს იური ვაზაგაშვილის მკვლელობამ ხელი შეუშალა“, — განაცხადა რობაქიძემ.

მისივე თქმით, ვაზაგაშვილის მკვლელობა „მოკლე ტვინის“ მქონე ადამიანის გადაწყვეტილებაა.

„იურის გაუთხარეს სამარე, მაგრამ ათჯერ მეტი სამარე თვითონვე გაითხარეს მკვლელებმა“, — აღნიშნა რობაქიძემ.

◎ განსჯა

ბოროტება, როგორც

ვაზაგაშვილის საქმის გაუხსნელობა ხელისუფლებისგან საზოგადოების კიდევ უფრო დისტანცირებასა და გაუცხოებას გამოიწვევს

გვესაუბრება დამოუკიდებელი ექსპერტი გია ხუხაშვილი

— ბატონო გია, შვილის საფლავზე იური ვაზაგაშვილის აფეთქების ამბავმა შეძრა საზოგადოება. თქვენ როგორ შეაფასებდით მომხდარს და სავარაუდოდ, როგორ აისახება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ფაქტი შიდა პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე?

— რა თქმა უნდა, საზარელი ტრაგედიაა. ჩემი აზრით, შესრულების ტექნოლოგიით აბსოლუტურად არადამახასიათებელია საქართველოსთვის, ანუ ქართველი დამნაშავეების მენტალიტეტისთვის. მაქვს ეჭვი, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქება აბსოლუტურად შეგნებულად არის გაკეთებული, რომ საქართველოში რაღაც პროცესს მიეცეს დასაბამი. ვაზაგაშვილი იყო გარკვეული პროცესის ეპიცენტრში, რასაც ჰქვია სამართლიანობის აღდგენა და ასე შემდეგ, რაც ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ გამყოფ ხაზად იქცა. როგორც ჩანს, შესრულების ფორმა აბსოლუტურად შეგნებულად იყო შერჩეული.

ფაქტია, რომ გაძლიერდა დაუცველობის სინდრომი, ამას მოჰყვება ტალღა, რომელიც ისედაც არასტაბილურ ვითარებას კიდევ უფრო მეტად უბიძგებს შემდგომი არასტაბილურობისკენ. ვფიქრობ, როგორც ყოფილი, ისე დღევანდელი ხელისუფლებაც შეეცდება, რომ ეს თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს ან ყველაფერი აისხლიტოს. საქმის გაუხსნელობის შემთხვევაში დღევანდელ ხელისუფლებას დაუდასტურდება არაეფექტურობისა და უსუსურობის იმიჯი. ვაზაგაშვილის საქმის გაუხსნელობა ხელისუფლების მიმართ საზოგადოების კიდევ უფრო დისტანცირებასა და გაუცხოებას გამოიწვევს.

— რამდენად დიდია ალბათობა, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქების უკან საქართველოში არეულობის მსურველი ჩვენი მეზობელი რუსეთისა და მისი ადგილობრივი გულშემატკივრების შორსმიმავალი გეგმები იკვეთებოდეს?

— ჩემი აზრით, იური ვაზაგაშვილის აფეთქება გარკვეული პოლიტიკური თამაშის ნაწილია. ვის ინტერესებშია ამ პროცესისთვის გარკვეული მიმართულების მიცემა, ამას დრო გამოაჩენს. შეიძლება ეს იყოს რუსეთი, მაგრამ, შეიძლება ეს რუსეთიც არ იყოს. ჩვენ ვაკვირდებით უკრაინაში გარე მენეჯმენტში ქართველი ყოფილი მაღალჩინოსნების შეყვანას. როგორც ჩანს, ჩვენ იგივე დასავლეთთან და უკრაინასთან მთლად კარგად არ გვაქვს დალაგებული ურთიერთობა. ჩემი აზრით, რაც ახლა ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ უკრაინაში ხდება, საქართველოს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ დემარშის ხასიათს ატარებს. უკვე დადასტურდა, რომ ამ პროცესში ჩართულია ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ჩვენთან წითელი ცირკულარით იძებნება. აქედან გამომდინარე, მე ვერ ვიფიქრებ, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის ვითარების შექმნით მხოლოდ რუსეთია დაინტერესებული. არ გამოვრიცხავ, რომ არსებობდნენ სხვა მხარეებიც, რომელსაც სხვა ინტერესი აქვთ და ახლა მღვრიე წყალში თევზის დაჭერას შეეცდებიან. ამ შემთხვევაში, არ ვლაპარაკობ დასავლეთზე, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთშიც მოიძებნონ ისეთი ძალები, რომლებსაც პოლიტიკურად ასეთი ტიპის პროცესებისთვის ბიძგის მიცემა აწყობდეთ. შესაძლოა, ცუდ რამეს კი ვამბობ, მაგრამ რეალობა ასეთია.

— გენპროკურორის პირველმა მოადგილემ ირაკლი შოთაძემ განაცხადა — „გპირდებით, ყველა დამნაშავე დაისჯება“. ანალოგიური განცხადებით მომხდარს გამოეხმაურა პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილიც. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქების საქმის გამოძიებას ხელისუფლება უმოკლეს ვადებში შეძლებს? ვფიქრობ, ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, ვაზაგაშვილის საქმის გამოძიების გაჭიანურებით, მან შეიძლება დაკარგოს პროცესებზე კონტროლი და ქვეყანაში მართლაც უმართავი პროცესები დაიწყოს...

— ვაზაგაშვილის საქმის გამოძიება ხელისუფლებისთვის ღირსების საქმეა. საქმის გამოძიება მისთვის თვითგადარჩენის საშუალება იქნებოდა. ვინც ეს მკვლელობა ჩაიფიქრა, კარგად ესმის, რომ თუ ვაზაგაშვილის საქმე უახლოეს ხანებში არ იქნა გამოძიებული, საქართველოში დასაბამი მიეცემა გაურკვეველ და ახალ პროცესებს, რომლის გადალახვა ამ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება. აქედან გამომდინარე, საქმის გახსნაში ხელისუფლება სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა და მისი გამოძიებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

შოთაძის მიერ ცრემლების ღვრა ადამიანურად მესმის, მაგრამ არ შეიძლება, რომ გენპროკურორის მოადგილემ სისუსტე საჯაროდ დაგვანახოს. ამ დროს ყველამ თავი ხელში უნდა აიყვანოს და თავის საქმე აკეთოს. ასეთ ვითარებაში სახელმწიფომ უნდა აჩვენოს თავისი ძალა. თუ მან ეს ვერ მოახერხა, ეს მისთვის ძალიან მძიმე შედეგებით დასრულდება.

— იური ვაზაგაშვილის აფეთქებამდე ორიოდე დღით ადრე პოლიტოლოგმა და კონსტიტუციონალისტმა ვახტანგ ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა — „ქართული ოცნება“ ჯეროვნად ვერ აფასებს რეალობას და თვლის, რომ მისი მთავარი ოპონენტი ნაცმოძრაობაა და არა საზოგადოება“. ვაზაგაშვილის აფეთქებამ გვანახა, რომ „ქართული ოცნების“ უმოქმედობა იმ პოლიტიკურმა ჯგუფებმა გააპროტესტეს, მეტიც, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვეს, რომლებიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მხარს კოალიციას უჭერდნენ. თქვენც ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ „რეალობას ჯეროვნად ვერ აფასებს“ და რამდენად დიდია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ალბათობა?

◎ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲘᲗ...

„ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲦᲘᲐᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲭᲝᲜᲐ“

ᲠᲝᲒᲝᲠ გაჟონა პროკურატურიდან ინფორმაციამ, ვინ არის საქმის ახალი მოწმე და რა გამოიკვეთა საქმის გამოძიების პროცესში? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge იური ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატს ᲒᲐᲒᲘ ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ესაუბრა.

— დაცვა ამტკიცებს, რომ ეს იყო მკვლელობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ზურა ვაზაგაშვილის საქმეში არსებულ ახალ მტკიცებულებებს. რა იყო საქმის ახალი გარემოება, კონკრეტულ პირებზე იყო გამოძიება გასული, რის გამოც შესაძლებელი იყო, რომ ეს მკვლელობა განხორციელებულიყო?

— იურის სიცოცხლე მოუსწრაფეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც არ სურდათ, რომ მისი შვილის საქმის გამოძიებაზე დამდგარიყო რეალური სურათი, თუ რა მოხდა 2006 წლის 2 მაისს, როგორ და რა ვითარებაში მოხდა მისი შვილის ლიკვიდაცია. იური შვილის სამართლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა. ალბათ, აქამდე უნდა ჩატარებულიყო აქტიური საგამოძიებო მოქმედებები ზურაბ ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით და შეიძლება, ეს ტრაგედია აცილებულიყო. თუმცა, მოვლენები, სამწუხაროდ, ასე განვითარდა. ჩვენ, ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატებს, უკვე იურის გარეშე გვიწევს მისი ოჯახის ღირსებისთვის ბრძოლა.

— 2006 წლიდან მოყოლებული იური ვაზაგაშვილი ასახელებდა კონკრეტულ სახელებს და გვარებს. როგორც გაირკვა, საქმეში გამოჩნდა ახალი მოწმე. ეს არის თუ არა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი მოწმე, რომელიც ცვლიდა ხელისუფლების ოფიციალურ ვერსიას და ასევე, ამ მოწმის გამოჩენამ შეუქმნა საფართხე იმ ადამიანებს, რომლებიც კორტების სპეცოპერაციასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ იყვნენ დაკავშირებული?

— ლოგიკური განვითარებაა იმ საქმის, რაც თან სდევს იური ვაზაგაშვილის ლიკვიდაციის ფაქტს. იური ვაზაგაშვილი საუბრობდა ამ მოწმის შესახებ და მინდა, დაგიდასტუროთ, რომ არსებობს ეს მოწმე და ეს არის სიმართლე. გიდასტურებთ იმასაც, რომ მისი დაკითხვა არსებითად შეცვლიდა იმ ოფიციალურ ვერსიას, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა ამ ფაქტთან დაკავშირებით.

— ადვოკატი ირმა ჭკადუა ამბობს, რომ ინფორმაციამ გაჟონა პროკურატურიდან. თქვენ თუ შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ ამ მოწმის არსებობის შესახებ გაჟონა ინფორმაციამ პროკურატურიდან?

— ამის გამორიცხვის არანაირი საფუძველი არ მაქვს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ბატონი იური ასახელებდა გარკვეულ პიროვნებებს.

— ვინ არის ახალი მოწმე და რა ღირებული ინფორმაციის მატარებელია?

— იური ვაზაგაშვილი საუბრობდა იმ მოწმეზე რომელიც იყო თვითმხილველი და, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ინფორმაციები. დიახაც, არსებობს ასეთი მოწმე, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს. ამ პიროვნების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. ჩვენთვის ცნობილია ამ მოწმის შესახებ, თუმცა, ეს პიროვნება საქართველოში არ იმყოფება.

— რამდენად შეძლებს დაცვა ამ მოწმის დაკითხვის უზრუნველყოფას, თქვენთვის თუ არის მოწმე ხელმისაწვდომი?

— მთავარია, რომ გამოძიებისთვის იყოს ხელმისაწვდომი. ამ პირობებშიც კი, იმის არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ ხელმისაწვდომობა ჩვენ გაგვიჭირდეს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი დახმარებით თუ უჩვენოდ, პროკურატურა ამ მიმართულებით ინტენსიურად იმუშავებს და დაიდება რეალური სურათი, რომელიც არსებითად შეცვლის წინა ხელისუფლების დროს შექმნილ ოფიციალურ ვერსიას.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს იყო დაგეგმილი მკვლელობა, ასევე ამბობთ, რომ ინფორმაციამ გაჟონა პროკურატურიდან. თუკი, ასეთმა მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ გაჟონა პროკურატურიდან, რა გარანტია გაქვთ, რომ ეს ადამიანები არ დატოვებენ ქვეყანას, თუ უკვე არ დატოვეს?

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია. შემიძლია, გითხრათ, რომ ყველა დეტალზე ვმუშაობთ და შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ არც ეს თემა არაა ღიად დატოვებული.

— რაც შეეხება იმ კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც დღემდე მაღალ თანამდებობაზე არიან როგორც პროკურატურაში, ასევე შსს-ში და რომლებსაც კავშირი ჰქონდა ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობასთან, ამ წუთებშიც თანამდებობაზე რჩებიან. რა გარანტია გაქვთ, რომ არ ჩაირთვებიან საქმის გაყალბებაში რაღაცა ფორმით?

— არ მიყვარს, როდესაც სამართლებრივ მხარეს ვცდები, მაგრამ მიმაჩნია, რომ მამა-შვილის მკვლელობის საქმის ობიექტური გამოძიება ჩვენი ხელისუფლების ღირსების საქმეა. ვინაიდან, სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანი მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაერკვია სიმართლე.

— სიმართლე, რომელიც მან პრაქტიკულად გამოიძია...

— რა თქმა უნდა. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის ხელისუფლების ღირსების საქმე. ვპირდები ყველას, რომ ჩვენ, დაცვის მხარე, არ დავიშურებთ ენერგიას იმისათვის, რომ იური ვაზაგაშვილის დაწყებული საქმე ბოლომე მივიყვანოთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების და პროკურატურის როგორც აქტიურობას, ასევე ობიექტურობას. როდესაც საუბარია ღირსების საქმეზე, აქ კითხვის ნიშნები არ უნდა არსებობდეს.

— საქმის ობიექტური გამოძიებისთვის რამდენად აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ ადამიანების განთავისუფლებას, რომლებზეც საუბრობდა ვაზაგაშვილი და რომლებიც წამყვან თანამდებობაზე არიან როგორც შსს-ში, ასევე პროკურატურაში და ვიცით, რომ ეს სია საკმაოდ დიდია...

— იური ვაზაგაშვილის მოთხოვნა იყო, რომ ამ საქმესთან პირდაპირ თუ ირიბ კავშირში მყოფ ადამიანებს, სამსახურებრივი უფლებამოსილება შესჩერებოდათ, რაც იყო სწორი და სამართლებრივი მიდგომა. იმედია, ამ ადამიანებს შეუჩერდებათ სამსახურებრივი უფლებამოსილება.

— დადასტურდა, რომ გამოყენებულია ქარხნული წარმოების იარაღი. სასაფლაოსთან ახლოს არის პოლიციის საგუშაგო და როგორც ადგილობრივები ყვებიან, მოწმდება ყველა მანქანა, რომელიც სოფელში შედის, რადგან ყარაფილა არის გამყოფი ხაზისპირა სოფელი. ასევე გაჩნდა ინფორმაცია, რომ საგუშაგოსთან არის ვიდეოთვალი. ამ ვითარებაში უცხო პირი შეძლებდა სასაფლაოზე შესვლას და ასაფეთქებელი ნივთიერების დამონტაჟებას ისე, რომ ამის დაფიქსირება არ მომხდარიყო?

— რამდენადაც ვიცი, კამერები არ არსებობს. შემიძლია, გითხრათ, რომ გამოძიება ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს, ალბათ, ეს ადამიანები დაიკითხებიან.

— რეალურია თუ არა ინფორმაცია, რომ ერთ კვირაში უნდა დასრულებულიყო საქმეზე გამოძიება?

— ვერ გეტყვით, ეს ერთ თუ ორ კვირაში იქნებოდა. თუმცა, გამოძიება სისტემატურად მიმდინარეობდა და გარკვეულწილად, გამოხატული იყო სურათი, ვინ განახორციელა ზურაბ ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია 2006 წლის 2 მაისს კორტებთან. სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ინფორმაციამ გაჟონა საგამოძიებო უწყებიდან.

— დაბოლოს, დაზიანების მიყენებიდან რამდენ ხანში დადგა იური ვაზაგაშვილის გარდაცვალება?

— ეს არის დეტალი, რომელიც სპეციალური ცოდნის პირთა მიერ არის გამოსაკვლევი. ამის მერე შეიძლება შეფასდეს სამართლებრივად რამდენად სწორად და დროულად მოხდა მისი დახმარება. როგორც მაქვს ინფორმაცია, დაზიანების მიყენებიდან რამდენიმე ხანი ცოცხალი იყო, თუმცა, მერე გარდაიცვალა. ეს არის პროფესინალურად კარგად ორგანიზებული დანაშაული, ეს არაა რიგითი პიროვნების ხელწერა და ეს მაფიქრებინებს, რომ წინასწარ განზრახულად, პროფესიონალმა ჩაიდინა იური ვაზაგაშვილის მკვლელობა.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◎ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ

ᲚᲐᲙᲛᲣᲡᲘ

ამგვარი მოთხოვნები აქა-იქ მანამდეც ისმოდა, მაგრამ იური ვაზაგაშვილის აფეთქების შემდეგ რომ კიდევ უფრო აქტუალური გახდა, ფაქტია...

— ვიზიარებ შეფასებას, რომ „ქართული ოცნება“ რეალობას ვერ აფასებს. თუ აფასებს, იგი პოლიტტექნოლოგიურად პოლიტიკურ მოზაიკაში მთავარ ოპონენტად თვლის ნაცმოძრაობას. ეს მისთვის იმის გამოა მომგებიანი, რომ „ნაცმოძრაობა“ დისკრედიტებულია და ასეთი ოპონენტი სანატრელია. არც ერთ და არც მეორე შემთხვევა არ ვარგა და გათვლილია ძალიან მოკლევადიან ტაქტიკურ შედეგზე და არა გრძელვადიან სახელმწიფოებრივ ამოცანაზე. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი „ქართულ ოცნებას“ ძალიან ძვირი დაუჯდება.

რაც შეეხება იმას, ყველაფერ ამის შედეგად მივალთ თუ არა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებამდე. ამგვარ პერსპექტივას მე სკეპტიკურად ვუყურებ. არცთუ ისე დიდი დროა არჩევნებამდე დარჩენილი. ის პარტიებიც კი, რომლებიც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ, არჩევნებისთვის მზად არანაირად არ არიან. ზოგი ისეთი პარტია ითხოვს რიგგარეშე არჩევნებს, რომლებსაც ქართულ პოლიტიკაში პულსი არ ესინჯება.

დღეს რომ არჩევნები ჩატარდეს, ჩვენ პარლამენტში იმაზე გაცილებით უარეს სურათს მივიღებთ, ვიდრე ახლა გვაქვს. ვინაიდან, სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არიან ფორმირებული პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აქვთ იმის უნარი, რომ მართონ სახელმწიფო და პასუხისმგებლობა აიღონ სახელმწიფოს განვითარებაზე. არჩევნებამდე დარჩენილი ორი წელი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ პარტიების, პარტიული კოალიციების ფორმირება მოხდეს. კარგი იქნება, თუ ისინი გაერთიანდებიან არა ვიღაცის წინააღმდეგ იდეოლოგიის საფუძველზე, არამედ მათ ერთიანი იდეოლოგიური პლატფორმა და მსოფლმხედველობა გააერთიანებს. ამას სჭირდება დრო. ამიტომ, ჩემი აზრით, რიგგარეშე არჩევნების ჩატარება არანაირად გამართლებული არ იქნებოდა.

— აშშ-ის პრეზიდენტმა კონგრესისადმი გაკეთებულ მიმართვაში განაცხადა — რუსეთი იზოლირებულია, ხოლო მისი ეკონომიკა დაშლილია. ამერიკა ევროპელ პარტნიორებთან ერთად ერთიანი ძალით ებრძვის რუსულ აგრესიას. . . ამერიკა ტყუილად არ იმუქარება. იგი მოქმედებს თანმიმდევრულად და მტკიცედ“. ისეთი პირი უჩანს, რომ უკრაინის გამო რუსეთ-დასავლეთისა და რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. თქვენი აზრით, ასეთ ვითარებაში, სავარაუდოდ, მოქმედების რა გზას აირჩევს კრემლი საქართველოსთან მიმართებაში?

— ვფიქრობ, ობამას ამ ტიპის განცხადებები უფრო თავის მართლებისა და საკუთარი პოლიტიკის გამართლების მცდელობაა, ვიდრე რეალური სიტუაციის ასახვა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არის ეკონომიკური პრობლემები. დასავლეთისგან განსხვავებით რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომლის სახელმწიფოებრივი ქსოვილი აგებულია კეთილდღეობის შექმნის ფასეულობებზე. მისი სახელმწიფოებრიობა უფრო ემყარება ველიკოდერჟავულ და იმპერიულ იდეებს. რუსს შეუძლია, მოიკლოს კეთილდღეობა ქვეყნის მისიონისტური ამოცანებიდან გამომდინარე. რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები ეფექტს კი ახდენს, მაგრამ გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი სანქცია, გარკვეულწილად ბუმერანგივით უბრუნდება მათ, ვინც სანქციები დააწესა. კეთილდღეობაზე უკუდარტყმას რომ მიიღებს დასავლეთი, ეს მტკივნეული ვისთვის უფრო იქნება, დასავლეთისთვის თუ რუსეთისთვის? ჩემი აზრით, ეს დასავლეთისთვის ძალიან მაღალი რისკის ზონაა. ამ რისკების დანახვა ჩვენ კიდევ წინ გვაქვს. ასე რომ, ობამას განცხადებებში ოპტიმიზმი გასაგებია, იგი იძულებულია ასე ილაპარაკოს, მაგრამ, ჩემი აზრით, რეალობა გაცილებით რთულია.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს. რაც უფრო ნაკლები იქნება რუსეთში კეთილდღეობა, რაც უფრო გაიზრდება სანქციების ეფექტი, ეს რუსული პოლიტიკის ვექტორს გადაიყვანს პროპაგანდის კიდევ უფრო გაძლიერებაზე, ანუ იქ, სადაც აღარ ჭრის რბილი მეთოდები, რუსეთი კიდევ უფრო აგრესიული გახდება. იგი შეეცდება, ძალისმიერი მეთოდებით გადაფაროს შიდა პრობლემები და შეეცდება ამ პრობლემების ქვეყნის გარეთ გატანას. ეს ყველაფერი საქართველოსთან მიმართებაში საფრთხის რისკებს გაზრდის.

აქედან გამომდინარე, იმის მიუხედავად, რომ რუსეთთან მიმართებაში მთავრობის პოლიტიკა შესრულებაში ტექნოლოგიურად მაინცდამაინც ხარისხიანი არ არის, ის სიფრთხილე, რასაც ისინი იჩენენ, აუცილებელია. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ჩვენ შეიძლება რუსეთის სამიზნე გავხდეთ გამომდინარე იმ გლობალური ვითარებიდან, რაც ახლა მსოფლიოშია. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთში ე.წ. „ქორები“ ამის წინააღმდეგი მაინცდამაინც არ იყვნენ, რაც, ჩემი აზრით, ჩვენთვის ძალიან სახიფათოა.

— დამკვირვებელთა უმრავლესობა თანხმდება, რომ რუსეთში ეკონომიკური კრიზისი ნეგატიურად აისახება სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებზე, რომლებიც გარკვეულწილად დამოკიდებული არიან რუსულ ეკონომიკაზე. შემცირებულია რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, რუსული ბაზარი ეკონომიკური კრიზისის გამო მიმზიდველი 5-7 წელი ვერ იქნება. ასეთ ვითარებაში რა ნაბიჯები იქნებოდა საუკეთესო იმისათვის, რომ ქართულ ეკონომიკაზე ნაკლებად აისახოს რუსეთში არსებული ეკონომიკური თუ ფინანსური კოლაფსი?

— ამ პრობლემის ერთჯერადი გადაწყვეტა არ არსებობს. ბუნებრივია, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ უკვე აღებული გეზი, ვეცადოთ, რომ რეალური სექტორი და ეკონომიკა ავამუშაოთ, ქვეყანაში გაჩნდეს მეტი საწარმო და სამუშაო ადგილი. რაც შეიძლება მეტი პროდუქტი შეიქმნას საქართველოში, შევასრულოთ რამდენიმე ეკონომიკური ამოცანა. მაგალითად, იგივე სურსათის უსაფრთხოების ამოცანა. გარდა ამისა, შევქმნათ იმგვარი კონკურენტული პროდუქცია, რომ რუსეთისგან ალტერნატიულ ბაზრებზე გავიდეთ. ეს ამოცანები სწრაფად არ მიიღწევა. არ ვფიქრობ, რომ რუსეთის ეკონომიკაში არსებული პრობლემები ჩვენზე დრამატულად აისახება. ვინაიდან, ბოლო წლებში ჩვენი ეკონომიკა საკმაოდ დისტანცირებული და, შესაბამისად, ნაკლებად დამოკიდებული იყო რუსულ ბაზარზე. რაც შეეხება პირდაპირ გზავნილებს. აქ გარკვეული შემცირება იქნება. ეს აისახება კიდეც ლარის კურსზე და სხვა მაჩვენებლებზე, თუნდაც სოციალურ სფეროზე. მაგრამ ამას ყველაფერს ამ საკითხში არ ვუყურებ ძალიან დრამატულად. რაც შეეხება პროგნოზს, რომ აისახება მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკებზე, ასე არ არის. ვფიქრობ, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები დროთა განმავლობაში დასავლეთზე მეტად აისახება. დასავლეთისთვის რუსეთის ბაზრის დაკარგვა ძალიან რთული ამოცანაა. დასავლეთს დაკარგული აქვს იმუნიტეტი. აქედან გამომდინარე, რუსეთის სანქციებთან დაკავშირებით ვითარების გართულება უფრო ევროპაშია მოსალოდნელი.

ევროპაში ჯვაროსნული ომის დაწყებასთან დაკავშირებული იდეები და ხედვები ბმაშია ეკონომიკასთან. ჩემი აზრით, ევროპაში რაღაც ახალი და საკმაოდ სარისკო პოლიტიკა იბადება. „შარლი ებდოს“ თემა და შემდგომ განვითარებული პროცესები არ იყო შემთხვევითი. ეს სრულიად ჯდება ისტორიული განვითარების კანონზომიერებაში და ეს ყველაფერი ერთმანეთთან გადაჯაჭვულია.

ᲙᲝᲑᲐ ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ

◎ ᲘᲚᲑᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

„ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲗ, ᲔᲡ ᲠᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲐ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲝᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ“, — ᲐᲟᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲑᲐ ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲙᲐ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲫᲐᲚᲓᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲗᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲐ ᲛᲝᲐ�გᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ

გუშინ მაგთის ოფისში რუსთაველზე გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც ერთგულ აბონენტებს საოცნებო პრიზები ოფიციალურად გადასცეს. როგორც აღვნიშნეთ „m² იპოდრომიდან“ ოროთახიანი ბინის მფლობელი **ლიკა სამადაშვილი** გახდა. **ირაკლი მახარაძემ** — 100 ათასი ლარი მიიღო, ხოლო **მერაბ ბარნაბიშვილი** ავტომობილ „პორშე პანამერას“ — 2015 წლის მოდელს დაეუფლა...

ბათუმელი ირაკლი მახარაძე, ოფისში ორსულ მეუღლესთან ერთად მივიდა. ახალგაზრდა წყვილი მეორე შვილს ელოდება და ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე დაფრინავენ. ირაკლი 10 წელიწადია მაგთის მომხმარებელია და ერთგულებაც ასე დაუფასდა, რამდენიმე მილიონი ბილეთიდან, სწორედ მისი მობილურის ნომერი გახდა იღბლიანი. ირაკლისთვის ეს პირველი მოგებაა, ადრე არასოდეს არაფერი მოუგია... მოგებებით არც რუსთაველი მერაბ ბარნაბიშვილი ყოფილა განებივრებული, თუმცა, რატომღაც ისეთი წინათგრძნობა ჰქონია, რომ აუცილებლად მოიგებდა. **„52 წლის მანძილზე არასოდეს მომიგია. მეგობრებთან ერთად ვიყავი, როცა დამირეკეს. ტელევიზორი ჩართული მქონდა და ვუყურებდი. ჩემი ტელეფონის საწყისი ციფრები გამოაცხადეს და გულმა მიგრძნო, რომ მე მირეკავდნენ. ასეთი ბედნიერი ახალი წელი ჯერ არ გამთენებია. ყველას მადლობას ვუხდი, ვინც ჩემი სიხარული გაიზიარა“,** — ამბობს გამარჯვებული. „პორშე პანამერა“ უდავოდ სოლიდური პრიზია. მერაბს სამარშრუტო ტაქსი ჰყავს, მსუბუქი ავტომობილი კი ოჯახს ნამდვილად სჭირდებოდა...

გახარებულია ლიკაც, რომელიც წელს მაგისტრატურას დაამთავრებს და ცხოვრების უფრო რთულ სარბიელზე გავა, თუმცა, უკვე ბინით უზრუნველყოფილი. ლიკა დედასთან ერთად დიღომში ოთახნახევრიან ბინაში ცხოვრობდა ბედნიერად, თუმცა... ვიწროდ. სიტყვაუხვია ლიკას დედა, რომელიც მასთან ერთად იზიარებს უდიდეს სიხარულს: **„ღმერთო, რა ბედნიერებაა, როცა მოიგებ, ვყვიროდი, ემოციები გარეთ გამომქონდა, ალბათ, ამან გადამარჩინა, თორემ, სიხარულისგან გული გამიჩერდებოდა. მთავარია, ადამიანი ყოველი დღით დატკბეს, ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება. არასოდეს არ მომიგია, ნ თეთრიც კი არ მიპოვნია...**

ლიკა სკეპტიკურად იყო განწყობილი, ერთადერთი ბილეთი გვქონდა, მაგრამ გაგვიმართლა. საღამოს დავსხედით ტელევიზორთან ველოდებოდით. ლიკამ იუმორით მითხრა, შენ ემოციური ხარ და რომ დარეკავენ, გასაუბრება მაცადეო... ამ დროს დარეკა ტელეფონმა. მოკლედ, თქვენ არ იცით, ეს რა გრძნობაა. სამყარო ჩემთვის ერთბაშად ფერადი გახდა. პიროვნება იცვლები, სხვანაირი ხდები... ცხოვრებაში ბედნიერი წუთები ბევრჯერ მქონია, მარტო შვილის დაბადება რად ღირს, მაგრამ მაგთიმ დაუვიწყარი წუთები კიდევ ერთხელ მაჩუქა. მადლობა მას ამისთვის... ჩემ გარშემო მყოფმა ადამიანებმაც იწამეს, რომ სასწაულები ნამდვილად ხდება“.

დიახ! უკვე მერამდენე წელიწადია მაგთიკომი ასეთ სასწაულებს რეალობად აქცევს და ადამიანებს რწმენას უბრუნებს, ან უღრმავებს, სკეპტიკოსებს ოპტიმისტებად აქცევს. **„მიხარია, რომ ჩვენი აბონენტები შეძლებენ, უფრო კომფორტული გახადონ თავიანთი ცხოვრება. ერთგულებას ჩვენს აბონენტებს ასე ვუფასებთ. მაგთიკომის წამახალისებელი გათამაშება ტრადიციულად სოლიდური პრიზებით გამოირჩევა, ჩვენი საპრიზო ფონდი მაღალბიუჯეტიანია, ამიტომ მისადმი ინტერესი ამჯერადაც დიდი იყო. ძალიან სასიამოვნოა, რომ გავახარეთ ჩვენი მომხმარებლები — გამარჯვებულები, მათი ოჯახის წევრები და მეგობრები“,** — აღნიშნა მაგთის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო სურგულაძემ და პირობა დადო, რომ სიურპრიზები მაგთისგან გაგრძელდება...

თეა მოსია

◎ „ᲒᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ“ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ

ᲠᲣᲑᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ

რა ემუქრება საქართველოს და კიდევ ცხრა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკას? — ამის შესახებ გავლენიანი ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ ანალიტიკურ სტატიას აქვეყნებს, სადაც რუსული ეკონომიკის კრიზისსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამით გამოწვეულ საფრთხეზეა საუბარი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსული ეროვნული ვალუტის — რუბლის კრიზისი სერიოზულად ემუქრება რუსეთის მეზობელ ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკა ძალიანაა დამოკიდებული ჩრდილოელი მეზობლის მდგომარეობაზე. მხედველობაშია ის მილიარდობით დოლარი, რომელსაც რუსეთში მომუშავე კავკასიელი და ცენტრალური აზიის ქვეყნების მოქალაქეები სამშობლოში ოჯახებსა და ნათესავებს უგზავნიან.

„რუბლის კურსის 50%-ით დაცემამ არა მარტო შეამცირა გაგზავნილი თანხების რაოდენობა, არამედ მიგრანტებს რუსეთში მუშაობის საშუალებაც მოუსპო. ცხრა სახელმწიფო, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი რუსეთიდან გაგზავნილ ფულზე, საერთო ჯამში, რუბლის ინფლაციის გამო, 2015 წელს 10 მილიარდ დოლარზე მეტს დაკარგავენ“, — ნათქვამია სტატიაში, რომლის თანახმადაც, რუსეთის ვალუტის კურსის დაცემის გამო ქვეყნიდან მიგრანტებიც მიემგზავრებიან, რადგან მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს ფასი აღარ აქვს — 2014 წლის ბოლოს, 2013 წელთან შედარებით, მათ ორჯერ ნაკლები ანაზღაურება მიიღეს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გასტარბაიტერთა (მიგრანტებთა) მიერ სამშობლოში რუსეთიდან გადარიცხული ფული შეადგენს: სომხეთის ეკონომიკისთვის — 21%-ს, საქართველოსთვის — 12%-ს, ყირგიზეთისთვის — 31,5%-ს, მოლდოვასთვის — 25%-ს, ტაჯიკეთისთვის — 42%-ს, უკრაინისთვის — 5,5%-ს, ლიტვისთვის — 4,5%-ს, აზერბაიჯანისთვის — 2,5%-სა და უზბეკეთისთვის — 12-ს%.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში იოსებ არჩვაძე For.ge-სთან საუბარში ადასტურებს, რომ რუბლის კრიზისი უკვე სერიოზულად აისახა საქართველოზე და, 2014 წლის დეკემბერთან შედარებით, 37 მილიონი დოლარით შემცირდა ფულადი გზავნილები რუსეთიდან. თუ წინა წელს იყო 82 მილიონი დოლარი, ახლა ეს თანხა ჩამოვიდა 43 მილიონზე და, ფაქტობრივად, რუსეთიდან ფულადი გზავნილები განახევრებულია.

ამას ემატება ისიც, რომ საქართველოდან ფულადი გზავნილების მოცულობა რუსეთის ფედერაციაში თითქმის გაორმაგდა. ე.ი. ნაკლები ფული კი შემოდის საქართველოში, მაგრამ აქედან მეტი თანხა იგზავნება რუსეთში. ნაწილობრივ ეს რუსული კომპანიების მოღვაწეობით აიხსნება ჩვენს ქვეყანაში. გარდა ამისა, ჩვენი მოქალაქეები რუსეთში მარტო სამუშაოდ არ მიდიან, არამედ — სასწავლებლად, სხვა მიზნებითაც. ამიტომ მათ საქართველოდან გაგზავნილი თანხები სჭირდებათ.

„რუსული ოფიციალური წყაროების მიხედვით, იანვრის განვლილ პერიოდში რუსეთის ფედერაციაში შესულ შრომით მიგრანტთა რაოდენობა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 70%-ით შემცირდა, შრომითი მიგრანტების გასვლა სხვა ქვეყნებში გაიზარდა. ეს ჩვეულებრივი ეკონომიკური კანონზომიერი მოვლენაა და აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა დრამატული მოვლენები, როცა ჩვენი ბევრი ოჯახი დამოკიდებულია რუსეთიდან გზავნილებზე. იმ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, რაც რუსულ რუბლს ბოლო დროს დაემართა და რაც უკავშირდება ნავთობზე ფასის შემცირებას, აღმოჩნდა, რომ თითო დოლარით ბარელი ნავთობის გაიაფება იწვევს იმას, რომ რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა, თვეებზე გაანგარიშებით, მცირდება 6 მილიონი დოლარით. თუ ათვლის წერტილად ავიღებთ 114 დოლარს, ანუ როცა ნავთობმა გაიაფება დაიწყო და დღეს უკვე 50-ზეა ჩამოსული, ჩვენ შეგვიძლია, გავიანგარიშოთ, რამდენი დააკლდება საქართველოს ფულადი გზავნილების სახით რუსეთიდან — სადღაც 350-დან 400 მილიონ დოლარამადე ნაკლები თანხა შემოვა. **ეს საკმაოდ მაღალი ციფრია. ფაქტობრივად, ეს არის საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის 40-45 %“,** — აცხადებს იოსებ არჩვაძე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ ევროკავშირის და აშშ-ის ე.წ. სანქცირებული პოლიტიკა რუსულ ეკონომიკას ძალზე აზარალებს და მისი ავადობის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება სწორედ რუბლის კურსია, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ამგვარი სეზონური რისკი ქართულ ეკონომიკაზე კრიზისულ გავლენას ვერ მოახდენს, განსხვავებით, რუსეთისგან. ბუნებრივია, რუსეთი ჩვენი სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ კატასტროფული მასშტაბის გავლენა არ იქნება, რადგან ჩვენ მხოლოდ დაახლოებით 7-დან 10%-მდე ვართ რუსულ ექსპორტზე დამოკიდებულნი.

რაც შეეხება ლოკალურ დონეს, დარგობრივ ჭრილს, ლევან კალანდაძე აღიარებს, რომ ამ კუთხით ზარალი იქნება. მაგალითად, იმავე სოფლის მეურნეობაში (მევენახეობა, ყურძნის წარმოება, ღვინო-მასალების წარმოება და მათი ექსპორტი) იმ კომპანიებს გაუჭირდებათ, ვისაც რუსული ბაზარი ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო პოტენციალად მიაჩნიათ. ამიტომ თავიდანვე არასწორი იყო აქცენტის გაკეთება რუსეთზე, როგორც მთავარ სავაჭრო პარტნიორზე.

„ხოლო იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც რუსეთი ერთ-ერთ რიგით სავაჭრო პარტნიორად გაიხადეს და მათი პორტფელი მეტნაკლებად დივერსიფიცირებულია, რუბლის გაუფასურება ნაკლებად დამაზარალებელია. ზოგადად, **ეკონომიკური კრიზისი საქართველოში იქნება, რადგან ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთიდან, ეს ნეგატიურად აისახება საქართველოს საგადამხედელო ბალანსზე, რადგან სავალუტო წყაროს შემცირება ნეგატიურად აისახება თავად ქართული ლარის კურსზე. ალკოჰოლურ სასმელებზე მოხმარება რუსეთში შემცირდება, რაც აისახება ქართული კომპანიების შემოსავლებზე. ასე რომ, ვეთანხმები ამ კვლევას, ეს მნიშვნელოვნად დააზარალებს იმ ოჯახებს, რომლებიც რუსეთიდან გზავნილებით ირჩენდნენ თავს და იქნება მნიშვნელოვანი სოციალური სიმძიმის მატების ფაქტორი“.**

ნონა იმერლიშვილი

◎ ვინ ამღვრევს წყალს?

სომხებს აკადემიურად უნდა დავუმტკიცოთ, რომ სადავო ეკლესიების რიცხვი ძალიან გაზვიადებულია!



რუსული მედიის ინფორმაციით, სომხეთმა იუნესკოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450 ეკლესიის სომხეთის ეპარქიის კუთვნილ ტაძრებად აღიარების თხოვნით მიმართა. არსებული ინფორმაციით, შესაბამისი მიმართვა იუნესკოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ გააგზავნა.

თავის მხრივ, საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიაში ირწმუნებიან, რომ სომხეთს იუნესკოსთვის არ მიუმართავს და ამ ინფორმაციის გავრცელება საქართველო-სომხეთის საერთო მტრების სურვილია.

სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის ლევონ ისახანიანი ამ ინფორმაციის აბსურდულობაზე საუბრობს: **„ეს არის სრული ტყუილი, სომხურ მხარეს იუნესკოსთვის მსგავსი სახის თხოვნით რომ მიემართა, ეს ჩვენს გარეშე ვერ მოხდებოდა“.**

აღნიშნულ ინფორმაციას ვერც ადასტურებენ და ვერც უარყოფენ საქართველოში, თუმცა, მიიჩნევენ, რომ იუნესკო არ არის ზუსტი ადრესატი, სადაც სომხებს მიმართვის წერილი უნდა გაეგზავნათ.

„იუნესკო არ არის სასამართლო, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილების გადაწყვეტა შეუძლია“, — აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე.

რაც შეეხება თვითონ ფაქტს, ნიკოლოზ ანთიძე ადასტურებს, რომ **სომხებს სურთ გარკვეული ეკლესიების გადაცემა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ჩასატარებელია სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევა. მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს სომხური ეკლესიები, მაგრამ, სავარაუდოდ, მათი რაოდენობა ბევრი არ იქნება. ამიტომ ნაადრევია საპასუხო ზომებზე საუბარი, რაც ქართულმა მხარემ უნდა მიიღოს.**

არმენოლოგი, პროფესორი ბონდო არველაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სომხები ამჯერად არა 450, არამედ — 442 ეკლესიას არაარგუმენტირებულად ითხოვენ. ამის დასტურია საქართველოს სომხური ეპარქიის ეპისკოპოსის ვაზგენ მირზახანიანის 12 დეკემბრის მიმართვა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილისადმი და მოთხოვნა, სომხებისთვის 442 მოქმედი თუ უმოქმედო ეკლესია გადაეცათ, თავისი მიწებით. აღნიშნული წერილი მოგვიანებით გადასცეს კულტურის სამინისტროს. სწორედ ამ განცხადებას ახლავს 442 ეკლესიის ჩამონათვალი, რომელიც საქართველოს რაიონების მიხედვითაა დაწყობილი.

„დასაბუთებული არა აქვთ, რატომ არის ესა თუ ის ძეგლი სომხური?! მაინცდამაინც 442 სომხური ეკლესია კი იქიდან „გამოთვალეს“, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს ერევანში გამოვიდა სამველ კარაპეტიანის რუკა-ცნობარი — „სომხური ეკლესიები საქართველოში“, სადაც 653 „სომხური ეკლესია“ დააფიქსირეს. 80% ქართული ეკლესიები ჰქონდათ გადატანილი სომხურად. მათ პასუხი გავეცი და 1996 წელს გამოვეცი წიგნი — „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!“ სხვათა შორის, იქ კუმურდოა შეტანილი, ასევე, — თბილისის ეკლესიები — ნორაშენი, სურბშანი, სურბგევორქი, ბეთლემი. ამის მტკიცებას აზრი არა აქვს, ესენი ქართული ძეგლებია. მაგალითად, სურბშანის ეკლესია 1703 წლამდე ქართული იყო, წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის, მერე მოხვდა სომხების ხელში. რატომ ვერ იჯერებენ მათ რეალურ წარმომავლობას, ვერ გეტყვით. სწორედ ამისთვის შეიქმნა კომისია. ის დაიწყებს მუშაობას და სომხებს აკადემიურად უნდა დავუმტკიცოთ, რომ სადავო ეკლესიები გაზვიადებულია. ახლა იუნესკოში თუ ჩივიან, იუნესკო სასამართლო არ არის, იუნესკო ადგენს ძეგლთა რესტავრაციის, განახლების საკითხს“, — აღნიშნა ბონდო არველაძემ, რომლის თქმითაც, სომხები მეტისმეტად ბევრ სომხურ ეკლესიას „აღმოგვიჩენენ“ ხოლმე და, თუ მათ ლოგიკას მივყვებით, გამოდის, სომხებს კი არ უცხოვრიათ ქართულ მიწაზე, არამედ, პირიქით — ქართველები შეუხიზნავთ. ეს მაშინ, როცა ქართული ეკლესიის წყობა არანაირად არ ჰგავს გრიგორიანულს — ჩვენი ეკლესიის აღნაგობა ჰაეროვანია და ჩვენი წინაპრები ჩუქურთმას მეორად დატვირთვას ანიჭებდნენ. იქ კი პირიქითაა. მეტიც, როცა სომხები ქართველების სულიერ საუნჯეს ისაკუთრებდნენ, საკურთხეველს მაღლა სწევდნენ და სომხურ ჯვრებს გამოსახავდნენ ქართულის ნაცვლად.

არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი ურთულეს საკითხად მიიჩნევს სადავო ქართულ-სომხური ეკლესიების საკითხს, რადგან წლების განმავლობაში თემის ფალსიფიცირება ხდებოდა. არქიტექტორი განმარტავს, რომ, რა თქმა უნდა, საქართველოში არსებობს სომხური ძეგლებიც, მაგრამ ამხელა ციფრი საიდან მოიტანეს, მისთვის გაუგებარია.

„450 სომხური ეკლესია აბსურდია. ამას სჭირდება მყარი მეცნიერული შესწავლა, რისთვისაც სახელმწიფომ არ უნდა დაინანოს სახსრები, ექსპერტები მიიწვიოს ამ საკითხზე. საკითხი ერთხელ და სამუდამოდ რომ მოიხსნას, ჩვენ გვჭირდება ექსპერტების მონაწილეობა. თუ რატომ აქტიურდებიან სომხები პერიოდულად, ამას თავისებური ახსნა აქვს. მათთვის სასურველი პოლიტიკური კონიუნქტურა როცა არის, მაშინ ხდება ამ თემის წამოწევა. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლების სისუსტე დაინახეს და ფიქრობენ, რომ მსოფლიოშიც მხარს დაუჭერენ. როცა ჩვენი მეზობლები ასეთ ნაბიჯებს დგამენ, ჩვენც ვალდებულნი ვართ, შესაბამისი პასუხი გავცეთ“, — აცხადებს გიგა ბათიაშვილი.

„ICOMOS საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ნატო ცინცაბაძე ამბობს, რომ ეს იუნესკოს საქმე არაა და ნებისმიერმა ქართველმა საფრანგეთში 800 ძეგლი ქართულად რომ გამოაცხადოს და საამისო მოთხოვნა გაგზავნოს იუნესკოში, მას ვინმე მოუსმენს? ძეგლების კუთვნილება ხომ სახელმწიფოთაშორისი საკითხია, რომელიც ხელოვნებათმცოდნეებისა და მეცნიერების მონაწილეობით უნდა გადაწყდეს და არა- იუნესკოში?!

„ჯერ ერთი, რას ჰქვია სომხური ტაძრები? საქართველოს ტერიტორიაზე თუ არსებობს სომხური იდენტობის, წარმომავლობის ეკლესია, ეს არ ნიშნავს, რომ ის სომხურია. ეს არის საქართველოში არსებული სომხური ეკლესია, ამიტომ რას ნიშნავს მათი პრეტენზია? ჩემი სომეხი მოქალაქე ჩემს ტერიტორიაზე თუკი ეკლესიას აშენებს, ის სომხურია? როცა 450 სომხურ ეკლესიაზეა საუბარი, ალბათ, ეს გადაჭარბებულია. ეს ხელოვნებათმცოდნეებმა დაადასტურონ. ახლა ნახევარი მილიონი სომეხი ცხოვრობს საქართველოში, ისტორიულადაც ბევრი მათგანი ცხოვრობდა და რა გასაკვირია, რომ იყოს სომხური ეკლესიები საქართველოში. კარგია, რომ არის კიდეც ასეთი ეკლესიები, მაგრამ 400 რომ არ არის და არც 450, ესეც ფაქტია. ეს არ არის საჩხუბარი, ეს არის სამეცნიერო კონფერენციების თემა, რომელსაც არ უნდა პოლიტიკური კუდის გამობმა“.

მანანა ნოზაძე

◎ უვიზო მიმოსვლა

მოგზაურობა ევროპაში ყოვლად უპრობლემოდ

უცხო ქვეყნებისგან „რკინის ფარდით“ იზოლირებული ყოფის ათწლეულების შემდეგ, როგორც ამის ოდნავი შესაძლებლობა გაჩნდა, ბევრი ჩვენი თანამოქალაქე საზღვარგარეთ წავიდა — ზოგი უცხო ქვეყნებში ცხოვრების სანახავად, ზოგი ლუკმაპურის საშოვნელად, ზოგიც მუდმივად საცხოვრებლად. წასვლის მიზეზს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს — ამ ჯერზე ლაპარაკი ამა თუ იმ ქვეყნის ვიზის მიღებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრობლემაზე გვექნება, რომლებსაც ჩვენი თანამოქალაქეები ხშირად სრულიად გაურკვეველი მიზეზით აწყდებიან ხოლმე.

ფაქტია, რომ საქართველოს მრავალი მოქალაქე უცხო ქვეყნებში ხშირად იქ ყოფნის დაკანონებულ წესებს არღვევს, რის გამოც იქიდან დეპორტირების წესით უშვებენ, ზოგი კი, სულაც სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადის, რის გამო იქ სასჯელს იხდის და სამშობლოში მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდება. მერე გარკვეული დრო გადის და ხშირად ისიც ხდება, რომ ეს პირები კვლავ უცხოეთში წასვლას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სრულიად უმტკივნეულოდ ახერხებენ, მათ გვერდით კი ყველა კანონის წინაშე პირველი თოვლივით სპეტაკ ადამიანებს საელჩოებში ვიზის გაცემაზე უარს ყოველგვარი მიზეზის ახსნის გარეშე ეუბნებიან. დარწმუნებული ვართ, თითოეულ ჩვენგანს არაერთი ასეთი მაგალითის შესახებ არაერთხელ სმენია. ახლა კი, როგორც ჩანს, ახლო მომავალში ჩვენში ეს პრობლემა, შესაძლოა, მოსახლეობას მოეხსნას.

საქმე ისაა, რომ არსებული მონაცემებით, წლეულს მაისში, ლატვიის დედაქალაქ რიგაში გასამართ ევროკავშირის ქვეყნების ლიდერთა სამიტზე, **მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, შენგენის შეთანხმების ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის უფლება ექნებათ.** თუ რა დროიდან გახდება შესაძლებელი პრაქტიკულად ამ უფლების გამოყენება, ანუ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ზუსტი თარიღი, ეს თავად შესაბამის დოკუმენტში იქნება მითითებული. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ეს ვადა, სავარაუდოდ, 2015 წლის მიწურული, ან 2016 წლის დასაწყისი იქნება. **წინასწარი შეთანხმების თანახმად, ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეებს, შენგენის შეთანხმების მოქმედების სივრცეში 90-დღიანი უვიზო რეჟიმით სარგებლობის უფლება ექნებათ, რაც, არსებითად, ორწლიანი პერსონალური ვიზის ტოლფასია. აღსანიშნავია, რომ ამ დროის გამოყენება როგორც უწყვეტად, ასევე ნაწილ-ნაწილ იქნება შესაძლებელი. თანაც, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამის პარალელურად, გამარტივდება ასევე სხვა სახეობის ვიზების მიღებაც. ამ შემთხვევაში, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი და, ალბათ, სხვებზე უფრო მეტად მოთხოვნილების მქონე, სამუშავო ვიზები იქნება.**

რიგის მაისის სამიტზე აღნიშნულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ევროკომისია შესაბამისი თხოვნით მიმართავს მინისტრთა საბჭოს, ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებსა და ევროპის პარლამენტს. ამის მერე შენგენის შეთანხმების მოქმედების ზონაში შემავალი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიღებული მიმართვის დაკმაყოფილებას კენჭს უყრიან და, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც ძალაში სრულად მას შემდგომ შევა, რაც იგი ევროპარლამენტშიც და მინისტრთა საბჭოში პარალელურ კენჭისყრაში მხარდაჭერას მიიღებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ალიანჩალიანი

დაკავებულნი არიან ყალბი დოკუმენტების დამზადებისთვის

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება, გამოყენების და ცრუ მეწარმეობის ფაქტზე, დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები საქართველოს მასშტაბით ფიზიკური პირებისგან ჯართის მიღებას და რეალიზაციას უზრუნველყოფდნენ, რა დროსაც გადახდისუუნარო, არარეზიდენტ პირებზე არეგისტრირებდნენ შპს-ებს, შემდეგ კი არ იხდიდნენ ფიქტიურ საწამოებზე დაგროვილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დავალიანებებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე გამოკვეთილია 1 122 770 ლარის ოდენობის დღგ-ს უკანონო ჩათვლა ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურების გამოყენებით, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებთ მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

ინტერპრესი

ტრაგედია – თანამედროვე მენეჯერული აზროვნება

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.
ხალხური

მაგრამ გვეყო დიდ მსოფლიოზე ამდენი ზრუნვა, სახლში დაბრუნების დროც დადგა.

საქართველოში წლეულს იგივე პრობლემებია, რაც შარშან, თუმცა შეინიშნება არცთუ სასიამოვნო ცვლილებებიც. **ძალზე გააქტიურდა ნაციონალების ე.წ. „პოლიტიკური ოპოზიცია“, რომელიც მმართველი ძალის ხელდასხმითა და განზრახ უნიათობით გასულ წელს გადაურჩა დამსახურებულ „მივლინებას“ პოლიტიკურ სანაგვეზე და – მადლობის მაგიერ – იმდენად გათავხედდა, რომ უკვე ქვეყნის გარედან ცდილობს საქართველოში სიტუაციის არევას და პოლიტიკური წონასწორობის თავის სასარგებლოდ შერყევას. როგორც ჩანს, ნაცმოს სტრატეგები (თუ უცხოელი „კურატორები“) თვლიან, რომ მათთვის ხელსაყრელი მომენტი ახლოვდება. აქვთ კიდეც გარკვეული საფუძველი ასე იფიქრონ – შარშანდელ ადგილობრივ არჩევნებზე „ოცნებამ“ ვერაფერი შედეგი აჩვენა. მაგრამ ნაციონალები არ ითვალისწინებენ მთავარს: იმას, რომ ქართველი ხალხი მათი ცხრაწლიანი ბოგინის შედეგად საკმაოდ ძლიერადაა ვაქცინირებული და „ოცნების“ რეიტინგის კლება სულაც არ ნიშნავს ნაცმოს რეიტინგის მატებას – მისი წარსული „გმირობების“ ფონზე.** მაგრამ „ოცნებამაც“ უნდა გაითვალისწინოს, რომ ძველი წლიდან ახალში მემკვიდრეობით გადმოსული რეიტინგის კლების ტენდენციის გადაფარვა შორეული ფრანგული ტერაქტებით შეუძლებელია. **პოლიტიკას უყვარს აქტივობა, მიხეილ სააკაშვილი აქტიურობს, ხოლო უმაღლესი თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადამდგარი და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების „კულუარული მართვით“ დაკავებული ბიძინა ივანიშვილი კი ჯერჯერობით გარეგნული სიმშვიდით უცქერს თავისი მთავარი და დაუღალავი ოპონენტის გახშირებულ ინტერვიუებს ქართულ ტელესივრცეში და პოლიტიკურ სარბიელზე ოფიციალურად დაბრუნების ნაცვლად რაღაც ახალი თოქ-შოუს მზადებითაა დაკავებული.** საქმე კი ისაა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებას ოდითგანვე თავისი ძირითადი, თითქმის ურყევი, ზოგჯერ უხილავი, მაგრამ ლამის აქსიომატური კანონები აქვს და არც ერთ კეთილ მილიარდერსა თუ თოვლის პაპას დედამიწაზე არ ძალუძს ამ კანონების საკუთარ ნებაზე დიდი ხნით მორგება. კონსტიტუციის მორგება შეუძლია, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების კანონებისა – ვერა. ფაქტია, რომ ივანიშვილი არასაკმარისად თანამიმდევრული და რადიკალური აღმოჩნდა (ან ვერ გაუძლო დასავლეთის გარკვეული გავლენიანი წრეების ზეწოლას) „მიშიზმთან“ პრინციპულ შერკინებაში და დისკრედიტებულ ნაციონალურ სექტას მის მიერ მითვისებული საპარლამენტო ბერკეტები დაუტოვა, არადა, მათი მანდატების გაუვნებელყოფას არაფერი უნდოდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გარდა (ეგ ვარიანტი, დარწმუნებული ვარ, არაა საბოლოოდ ჩამოწერილი დღის წესრიგიდან – როგორც ნაცმოს დათრგუნვისა და განიარაღების ყველაზე ექსტრემალური ხერხი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ 2012-ში გამარჯვებულ კოალიციას სურს, დიდი რყევებისა და გართულებების გარეშე როგორმე მიატანოს 2016 წლამდე, კონსტუტიციით გათვალისწინებულ მორიგ არჩევნებამდე). მაგრამ, ერთის მხრივ, პოლიტიკურმა მეტოქემ მას შესაძლოა, ამის საშუალება არ მისცეს, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ მმართველი კოალიციის დაშლა სულაც არაა გამორიცხული (ამისთვის უკვე იღვაწეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და რიგში დგანან „რესპუბლიკელები“). ამასობაში კი ქვეყანაში რეალურად დამკვიდრდა, ასე ვთქვათ, ანონიმური მმართველობა შესუსტებული პრემიერითა და სუსტი პრეზიდენტით – ანუ ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური მოდელი ისტორიაში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც დემოკრატიასთან, არც ფაშიზმთან, არც კომუნიზმთან და არც ლიბერალიზმთან. არადა, საჯარო პოლიტიკა ლამის ყველაფერს პატიობს საჯარო პოლიტიკოსს ენერგიის დეფიციტისა და ანონიმურობის გარდა. ხალხი თავისი ლიდერისგან ელის რაღაც გაცილებით უფრო ქმედითს, ვიდრე „ბიზანტიურ-კულუარული“ მმართველობა და გერმანელი ფილოსოფოსების შემოქმედების თუ ფსიქოანალიზის საფუძვლებისადმი ცხოველმყოფელი ლტოლვის დემონსტრირება.

ბოლო-ბოლო, 2012 წლის ტრიუმფალური საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში, ამ ორწლიანი გადასახედიდან, პრინციპულად რა შეიცვალა საქართველოში, გარდა იმისა, რომ გაუწონასწორებელი, კალიგულიზმით შეპყრობილი და უკონტროლო საჯარო ლიდერი შეიცვალა გაწონასწორებულით, ფრთხილით, მაგრამ ასევე უკონტროლოთი და, თანაც, კულუარულით – ანუ ისეთით, რომელიც პასუხს ფორმალურად არაფერზე არ აგებს? შეიცვალა ის, რომ გაქრა (ალბათ, დროებით) მოსმენებისა და მიყურადების საყოველთაო შიში, თითქოს დასრულდა ბიზნესების ღამ-ღამობით „ახევისა“ და სამსახურებიდან „ჩარეცხვის“ სამარცხვინო პრაქტიკა (არადა, ეს ყოველივე ცოტა როდია), ავად თუ კარგად, მაგრამ ჩატარდა ჯანდაცვის ურთულესი რეფორმა და რიგითი მოქალაქისთვის ექიმი უფრო ხელმისწვდომი გახდა, მაგრამ სხვა – ძირითადად სოციალ-ეკონომიკური – პრობლემების გამძაფრების ფონზე ხელისუფლების პოლიტიკურმა „უკბილობამ“ შესაძლოა, გააძლიეროს აგრესიული „მიშისტური საპარლამენტო ოპოზიცია“, რომელიც აგერ უკვე უკრაინის მიწა-წყლიდან საბავშვილის დაქვემდებარებაში გადასული და ფორმირების სტადიაში მყოფი შეიარაღებული შენაერთებითაც კი ემუქრება საზოგადოებრივ სტაბილობას საქართველოში. ხელისუფლების გაუბედაობა საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში, მისი გაურკვეველი ორიენტაცია, ასევე არყევს „საოცნებო კოალიციას“ შიგნიდან – საქმე ხომ მარტო ამა თუ იმ საბუთის ხელმოწერაში არაა, და მე ვთვლი, რომ საქართველოში კვლავაც აქტუალურია საკითხი ორიენტაციული რეფერენდუმის გამართვის თობაზე – ქართველ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება, პატიოსნად და გაუყალბებლად გაარკვიოს: სურს თუ არა მას სინამდვილეში ყველა წინა ხელისუფლების მიერ ესოდენ „გაპიარებული“ ევროპა და ნატო? ამ საკითხის გადაწყვეტა არ გახლავთ მხოლოდ ე.წ. „პოლიტიკური ელიტის“ კომპეტენცია, თუმცა, ვფიქრობ, რომ უცხოეთის ცნობილი საელჩოებიდან დიდწილად მართული ხელისუფლება დღეს არაა მზად ესოდენ პრინციპული ნაბიჯის გადასადგმელად. **ორ სკამზე ჯდომას უნარი და ნიჭი უნდა - გარდა ყველაფრისა, კარგადაა გასაცნობიერებელი, რომ ყველა შარშანდელი თავსატეხი უკვე წლევანდელი გახდა და ძველ პრობლემებს თანდათან ახალ-ახალი პრობლემები ემატება – ხან ლარის გაუფასურების, ხან მედროვე ჩინოვნიკებისთვის პრემია-დანამატების ჩამორიგების ჩვეული პრაქტიკის გაგრძელების, ხანაც მოსახლეობისთვის უაღრესად მგრძნობიარე და მტკივნეული საყოფაცხოვრებო თემების (კომუნალური ტარიფები, სემეკის დღევანდელი ფორმით არსებობა, წყლის ქსელების გაუმართაობა და ა.შ.) აქტუალიზაციის სახით.**

ამ ზოგად-პოლიტიკურ მომოხილვას ამჯერად ძირამდე არ ჩავყვები – სტატიის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ **ბოლოს მაინც მინდა შევეხო ჩვენი საზოგადოებრივი არსებობის ორ უმნიშვნელოვანეს და, ჩემი აზრით, უსუსტეს წერტილს: მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში შექმნილ ვითარებას.** მართლაც, ღირს ორიოდე სიტყვის ჩამოგდება იმაზე, თუ როგორ ვითარდება ეს სფეროები (ცალკეული დარგების განხილვის გარეშე) უკვე ივანიშვილისა და მისი ფავორიტების მმართველობის პირობებში. იმავდროულად შევეცდები სათქმელი მოკლედ ვთქვა, რათა დაღლილი მკითხველი ბანალობებით ან ზედმეტი დეტალიზებით კიდევ მეტად არ გადავღალო.

ძირითადი მომენტი აქ ისაა, რომ მეცნიერების მართვის თვალსაზრისით „ოცნება“ რეალურად ნაცმოს ფსევდო-რეფორმატორულ კურსს აგრძელებს. **სინანულით მინდა, აღვნიშნო, რომ „ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებები სამართლიანობის აღდგენის კუთხით სრული პროფანაცია გამოდგა. „ჩარეცხილი“ ინტელიგენციის „ამორეცხვის“ პროცესი არც ერთ წამყვან უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში არ დაწყებულა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.** ალბათ, სირთულეები ნაწილობრივ ობიექტურ ხასიათსაც ატარებს, რამეთუ **სააკაშვილის დროს მისი „ხუნვეიბინებით“ დაკომპლექტებულმა პარლამენტმა განახორციელა საკანონდებლო ცვლილებათა მთელი წყება სწორედ იმ მიზნით, რომ უმაღლესი სასწავლებლები ე.წ. „საბჭოთა წარმომავლობის“ ინტელიგენციისგან რადიკალურად გაწმენდილიყო და დარჩენილი „კარკასი“ მხოლოდ თავისი მომხრეებისთვის დაეტოვებინა –საშვილიშვილოდ და „ახალი ადამიანის“ (ქართველი ზომბის) შესაქმნელად.** ამ დანაშაულებრივი ჩანაფიქრის ბოლომდე შესრულება ჩვენმა „დემოკრატიულმა წითელმა ქხმერებმა“ ვერ მოასწრეს, თავად „ნაცმოძრაობამაც“ დაკარგა ძალაუფლება, მაგრამ **ივანიშვილის მთავრობამ მას მერე, პრაქტიკულად, თითი თითზე არ დააკარა, რათა განვითარების ვექტორი ოდნავ მაინც შეცვლილიყო: „ჩარეცხილი“ ადამიანები შეძლებისდაგვარად სამსახურებში აღედგინა, დაზარალებულთა კომპენსირების რაღაც ფორმებზე ეზრუნა, მართვის გარკვეული ბერკეტები სამინისტროდან ისევ მეცნიერებათა აკადემიისთვის დაებრუნებინა, გაეზარდა მეცნიერებაზე მიმართული მშპ-ს წილი 0,2%-დან 2%-მდე მაინც** (ევროპული სტადარტის ქვედა ზღვარი) **და ა.შ. პრაქტიკულად ყველას ყველაფერი შერჩა.** მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, რომელიც ყოველთვის ერიდებოდა რაიმე „ანტისამთავრობო“ პოზიციის გაცხადებას, კარგა ხანია უფლებაჩამორთმეულ „პრივილეგირებულ პენსიონერთა კლუბად“ გადაიქცა, რომელსაც არაფერი ეკითხება შეძენილი „სტატუსის“ შენარჩუნების გარდა. ამ საფასურად ის წლების განმავლობაში მსუყედ იკვებებოდა როგორც სააკაშვილის, ისე – პარალელურად – ივანიშვილის ხელიდან (იმ დროიდან მოყოლებული, როცა მის დაქვემდებარებაში მყოფი სამეცნიერო დაწესებულებები და მათი თანამშრომლები სულს ღაფავდნენ დამცირებისა და შიმშილისგან). როგორც ჩანს, ეს წარჩინებული „კლუბი“ ვერც დღეს გრძნობს რაიმე მორალურ პასუხისმგებლობას საკუთარი უახლოესი „კოჰაბიტანტური“ წარსულის გამო და ჯეროვნად არც მეცნიერების მართვის კუთვნილი უფლებების ხელახლა მოსაპოვებლად იბრძვის. შესაბამისად, მთელი „სამეცნიერო ძალაუფლება“ კვლავაც სამინისტროს „მენეჯერული“ რგოლებისა და ცალკეული „დამოუკიდებელი“ რექტორების ხელშია კონცენტრირებული, არსობრივად წარმოჩენილია სრული სტაგნაცია, კვლევითი ინსტიტუტების გასაცოდავებული ნარჩენები კი კვლავაც სააკაშვილის მიერ დაწინაურებული კადრების ხელში რჩებიან. რაიმე ხელშესახები პოზიტიური ძვრები არც კულტურის სფეროში შეინიშნება. აქაც სკამებს მიჯაჭვული მოქმედი ბიუროკრატია ძირითადად საბიუჯეტო სახსრების მითვისება-განაწილებითაა დაკავებული (ფესტივალები, მივლინებები და ა.შ.) და კვლავაც ჯაბნის საწყალ ხელგაწვდილ შემოქმედს - მხატვარს, პოეტსა თუ მწერალს. ილუსტრაციისთვის დავამატებდი რამდენიმე მაგალითს: დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის სახელს სიტყვიერად ყველა პატივს სცემს, მაგრამ მიუხედავად მრავალგზისი დაპირებებისა, ვერა და ვერ მოხერხდა „მიშისტების“ მიერ გაუქმებული დიდი ტრადიციის მქონე ფსიქოლოგიის ინსტიტუტის (სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) ძველი ფორმით აღდგენა – არადა, რამდენი ლაპარაკი მახსოვს ამის თაობაზე! ასევე აღსანიშნავია, რომ **ივანიშვილისა და მარგველაშვილის ხელისუფლებამ უცვლელი ოაზისის სახით შეინარჩუნა „მიშიზმის“ მთავარი იდეოლოგიური კერა – „ილიაუნი“, რაც ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით თანამედროვე კაფკიანობისა და ქართული აბსურდის თეატრში დადგმული „კოჰაბიტაციური“ სპექტაკლის კულმინაცია გახლავთ.**

სჯობს, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს: **რეალურად „ოცნების“ ორწლიანი მმართველობა, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო პირობებში ფულის ძალის დემონსტრირებას მიეძღვნა და მოხმარდა. ანუ იმის დასაბუთებას, რომ ჩვენეულ კერძო კაპიტალს ახალი ჟურნალის დაარსებას, ახალი წიგნის გამოცემას, ახალი ინსტიტუტის გახსნას ან ძველის აღდგენას, დღემდე მოღწეული ისტორიული ძეგლების შენარჩუნებას და მათი შთამომავლობისთვის გადაცემას – აი, ყველაფერ ამას, - წმინდა ფინანსური მოგება ურჩევნია. სწორედ ამას ეწოდება თანამედროვე მენეჯერული აზროვნება, რაც, ჩემი აზრით, თავისთავად ტრაგედიაა,** მაგრამ კიდევ უფრო დიდ ტრაგედიად ის მიმაჩნია, რომ ამას შეურიგდა და ანალოგიურად აზროვნებს არა ერთი და ორი საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული ადამიანი. პირველად არ ხდება ისტორიაში, როდესაც გავრცელებულ და დაკანონებულ უგუნურებას ეწირება დაჩაგრული შემოქმედი კაციც და მთელი თაობებიც – კაცობრიობის წარსული სავსეა ასეთი მაგალითებით, რას იზამ... სხვათა შორის, „ოცნების“ ასეთი პოზიცია გარკვეულად განაპირობა უამრავი ყოფილი ნაცისა ან ნაცებისადმი ლოიალური მაჟორიტარი დეპუტატების, საკრებულოთა წევრებისა და გამგებლების „ოცნებაში“ მასობრივად გადადინებამ. გარიგება გარიგებას მოსდევდა და ჩვენ ყველანი ვხედავდით და ვხედავთ, რომ ასე მოწვეულ „კადრებს“ ხშირ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა და ენიჭება მათ წინაშე, ვინც თავი არ დაიზოგა, საკუთარი კეთილდღეობა სასწორის პინაზე შეაგდო, გარისკა და რაღაც მართლაც სერიოზული მოიმოქმედა სააკაშვილის პროფაშისტურ-„წითელქხმერული“ რეჟიმის წინააღმდეგ და მის მოსაცილებლად.

რა თქმა უნდა, დღეს ისეთი სისულელის ხმამაღლა თქმას, როგორიცაა „მეცნიერება რად გვინდა?“ ან „კულტურა რად გვინდა?“, არც ერთი ჭკუათამყოფელი პრემიერი, პრეზიდენტი, ოლიგარქი ან მინისტრი არ იკადრებს. მაგრამ ეს არცაა საჭირო. მოიძებნება სხვა ფრაზები ან მოდური ევფემიზმები – მენეჯერებიო, ევროპული სტანდარტებიო, ბოლონიის პროცესიო... საბოლოო ჯამში კი მმართველი „ელიტის“ მიერ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მეცნიერების სფეროს არ ხელმძღვანელობდეს ღირსეული და უფლებამოსილი მეცნიერი, ხოლო კულტურის სფეროს – ღირსეული და უფლებამოსილი ხელოვანი. რატომ? იმიტომ, რომ ეს მართლაც შეიძლება სახიფათო გახდეს იმ საზოგადოებრივი სტაბილურობისთვის, რომელიც სწორედ ამ „ელიტაში“ შემავალი განსხვავებული

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 10-12

პოლიტიკური წარმომავლობის სუბიექტების შეხმატკბილებულ თანაარსებობას გულისხმობს. ფულის მაგნეტიკურმა ძალამ იჩინა თავი წინასაახალწლოდაც, საყდრისის გარშემო დატრიალებულ კონფლიქტში. „ნაცისტები“ რა ხილიც იყვნენ – გასაგებია, მაგრამ ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალებს, რომ „ოცნების“ პოლიტიკური ფილოსოფია ყველაზე უკეთ გამოიხატება უმარტივესი მაქსიმით: დიდმა ფულმა ყველგან და ყოველთვის უნდა იმძლავროს და გაიმარჯვოს. ქართულ სინამდვილეს შესანიშნავად ესადაგება ცნობილი მარქსისტული თეზისი, რომელიც ღაღადებს, რომ **„მსხვილი კაპიტალი, 100%-იანი მოგების სუნი თუ ეცა, მზადაა, უკუაგდოს ყველა ადამიანური კანონი, ხოლო 300%-იანი მოგების გულისთვის არ არსებობს დანაშაული, რომელზეც იგი არ წავა“**. იდეალისტი კარგა ხანია არ გახლავართ, მარქსს პატივს ვცემ და ვშიშობ, რომ ვაითუ, ეს სიტყვები ზედგამოჭრილია თანამედროვე „ქართული ოცნების“ პრაქტიკული საქმიანობის დასახასიათებლად. ამ მხრივ არ შემიძლია, არ გავიხსენო ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული კულტურის მინისტრის ბატონ გურამ ოდიშარიას ბედი.

„საოცნებო მთავრობის“ კულტურის პირველი მინისტრი, ცნობილი მწერალი გურამ ოდიშარია წელიწადზე მეტი ხელმძღვანელობდა სამინისტროს და, კაცმა რომ თქვას, თავის პოსტზე თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია. ცდილობდა, როგორც შეეძლო, არაფერს განსაკუთრებულსა თუ არაორდინარულს არ სჩადიოდა, ნავს არ არწევდა, „გუნდის“ წევრობით ამაყობდა, პასუხისმგებლობას თავის მოადგილეებს უხვად უნაწილებდა და ზოგჯერ ხდებოდა კიდეც ქვეყნის პირველი პირის მსუბუქი კრიტიკის (შესაძლოა, არცთუ გულწრფელი) ობიექტი – ეს იყო და ეს. რა თქმა უნდა, ქართული კულტურის სამყაროში რაღაც პრეტენზიები მის მიმართაც გროვდებოდა, მაგრამ არც ამაში ყოფილა რაიმე საგანგებო ან საგანგაშო. საკვირველი იქნებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო - ასეთ პოსტზე ყველას მოსაწონი ვერ გახდები.

მაგრამ რაღაც კრიტიკულ მომენტში, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ამ „გუნდის წევრმა“ აღარ მოაწერა („არ“ თუ „ვერ“ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დამდგარი შედეგი) ცნობილ და უკვე გამზადებულ ბრძანებას საყდრისის არქეოლოგიური ძეგლისთვის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსის მოხსნაზე ერთი ოქროსმომპოვებელი ფირმის ინტერესებში. რამდენადაც მახსოვს, მწერალმა მინისტრმა თავის თავი შვებულებაში გაუშვა და დაუძვრა ამ ხელმოწერას! ნუ, ახლა მთლად კამიკაძესავით საყდრისს არ შეეწირა, მაგრამ სულ არაფერს მაინც ეგ სჯობდა - არ მოაწერა! სამაგიეროდ მის სავარძელში დასმულმა „მენეჯერმა“ ეს იოლად გააკეთა. აფეთქებები საბადოზე გაგრძელდა და ყველამ დაინახა, რომ პროგრესს ვერაფერი შეაჩერებს. დიდი ფული ყოველთვის იმარჯვებს - და ვინც ამას არ აღიარებს (ან შინაგანად არ ღებულობს), ის ან თვალთმაქცია, ან არაფერი გაეგება თანამედროვე პოლიტიკაში.

ჩემი აზრით კი, სწორედ ამაში გამოვლინდა განსხვავება თანამდებობის პირ ხელოვანსა და სტანდარტულ ჩინოვნიკს შორის და, ცხადია, მმართველმა ჯგუფმა სათანადო დასკვნა გამოიტანა ჩინოვნიკის სასარგებლოდ.

დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს, ბატონებო. წელიწადი წინაა!

ასე და ამ სტილში აგრძელებენ ეს მართლა ბრმები და დაუნახავები. გაუთავებელი აბსურდი, მუდმივად უსაფუძვლო ბრალდებები, გაუთავებელი სისულელეები, ივანიშვილის გაუთავებელი ლანძღვა,შენ კი იძულებული ხარ, ყოველივე ამას უსმინო და დროდადრო უმტკიცო რომ ცრუობენ, მაგრამ სადამდე?! ვიკითხე მე ეს და დამამშვიდეს, რეგლამენტით ნებისმიერი სისულელის და ნებისმიერი ცრუ ბრალდების გაჟღერების სრული უფლება აქვთო.

კი, მაგრამ, ბატონებო! ქალბატონებო! ადამიანებო! ეს რეგლამენტი ხომ ნორმალური ადამიანების დაწერილია, ასევე ნორმალური ადამიანებისთვის და იმის გამო, რომ თავის დროზე, ვერავინ იფიქრა ოდესმე, პარლამენტში არანორმალური ხალხიც მოხვდებაო, ავდგეთ და ნაციონალური სიგიჟისთვის გავწიროთ მთელი ქვეყანა?! დროზე მიეხედოთ გემს, ბატონებო, თორემ, გადადგა ხალხი ჭკუიდან, მართლა როდემდე შეიძლება ამ ფარისევლური ჭიკჭიკის მოსმენა?!

გამოვიდა მორიგი წარჩინებული ნაციონალი ტრიბუნასთან, სვანეთის გმირი რომაა და სერიოზული სახით 10 წუთი გვიმტკიცებდა, მე თქვენ ყველანი მიყვარხართო. წესით საჯარო სიყვარულის ახსნაზე კეთილი მოსასმენი რა უნდა იყოს, ცოტა გულიც უნდა აგვჩუყებოდა, მაგრამ ისევ მამალი ტყუილი, ისევ დაკოდილი სიცრუე და ისევ ფარისევლობა რომ იყო მისი ყოველი სიტყვა, იმისთვის რა გვექნა?!მისი ცხოვრება და კაცთმოყვარეობა ერთმანეთთან შეუთავსებელი რომაა, იმისთვის რა გვექნა?! ანდა იმისთვის რა გვექნა, ასევე, შეუძლებელი რომაა, იყო საკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე დროს იყო კაცთმოყვარე?!გოგა ხაინდრავაც მინისტრი იყო მაშინ, გირგვლიანი რომ მოკლეს და მომხდარით შეძრწუნებული მაშინვე განუდგა სააკაშვილის რეჟიმს, კაცთმოყვარე რომ იყო, იმიტომ. შენ?! შენ განუდექი?! თუ მხოლოდ გირგვლიანი არ გიყვარდა?! ასე რომ, გააჩუმე ეგ დოლი თუ ძმა ხარ! კაცთმოყვარე კი არა, ჩვეულებრივი ფარისეველი ხარ ძამიკო შენ, ცრუკაცი ხარ და ასეთად დარჩები, რადგან, მართალია, მიშასთან შედარებით მოკლე, მაგრამ, სისხლიანი შლეიფი შენც დაგდევს უკან და იმას უფრთხილდი ძამიკო, იმას. ამ ცრუ სიყვარულზე ცრუ საუბარს კი თავი დაანებე.

იმ ბიჭის გაოგნებული თვალები ჯერ არ გაკითხავს ღამღამობით, ახლობლები რომ ჩაუხოცე თვალწინ?! პატარა უფლისწულს რომ გავს და უკვე მსოფლიო სევდა რომ ჩაუსახლე თვალებში?! არა უშავს, მალე მოგაკითხავს და შლეიფიც მალე წამოგეწევა.

გურიაში ენაგაქნილ კაცზე იციან თქმა, მაგან იმფერი ლაპარაკი იცის, გველს გაწყვეტს წელშიო. ამის შემძლე წარჩინებულები საკმაოდ ჰყავთ ნაციონალებს, მაგრამ ერთი იმდენად გამორჩეულია, გველს კი არა, გველეშაპს გაწყვეტს წელში თუ ტრიბუნაზე ავიდა და ენის გადაგდება მოასწრო მხარზე. სხვებისგან განსხვავებით ხატოვნად ცრუობს, მეტაფორებითა და მოულოდნელი შედარებებით შეზავებული ფრაზებით. ჩვეულებრივად, ანუ ტრადიციული სიტყვებით მხოლოდ იგინება.

ამას წინათ, გინებებს შორის მცირე პაუზა რომ მოახერხა, ტრიბუნაზე თვითკმაყოფილი სახით მდგარმა იმდენად შეტოპა საკუთარ მეტაფორებსა და ალეგორიებში, რომ მაგრად აიჭრა და შეგნებულად თუ შეუგნებლად ან მაგარი სისულელე გადმოაგდო დარბაზში, ან შეფარვით ნათქვამი სიმართლე.

მე ახლა საკმაო სიზუსტით შეგახსენებთ მის მაშინდელ ნათქვამს და მერე თავადვე განსაჯეთ სისულელე უთქვამს თუ უეცრად გონება დაბნელებია და აღსარების ხასიათზე დამდგარა.

წარმოიდგინეთ ბავშვი, გვეუბნება ის გამორჩეულად წარჩინებული ნაცი, რომელსაც კარგი მადა აქვს, კარგად იკვებება, სწრაფად იზრდება, სიმაღლეშიც და წონაშიც სწრაფად მატულობს, გონებრივადაც სწრაფად ვითარდება, მაგრამ ჯერ მაინც ბავშვია და ბუნებრივია, მშობლების მოვლა-პატრონობას ჯერ ვერ ახერხებსო...

ზუსტად ასეთი ბავშვი იყო, ბატონებო, ჩვენი ხელისუფლებაცო. მართალია, ჩვენც სწრაფად ვიზრდებოდით და ვვითარდებოდით, მაგრამ მშობლების, ანუ ჩვენი ხალხის მოვლა-პატრონობას ჯერ ვერ ვახერხებდითო...

ადამიანებო, ბატონებო, ჩემო კარგებო, გულახდილად მითხარით, მსგავსი სისულელე ოდესმე გსმენიათ?!

თქვე კაი ხალხო, 9 წელიწადი ხელისუფლებაში ყოფნის მერე თუ მაინც ბავშვებად თვლიდით თავს, მაშინ ახლანდელ ხელისუფლებას რაღა ნამუსით ერჩით, ჯერ ხომ სულ ორი წლისაა და თქვენეული ლოგიკით წესით აკვანში უნდა იწვეს?! მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, არ უნდა იყოს მთლად ასე მარტივად საქმე. არაა ის ენაგაქნილი ნაციონალი ისეთი მიამიტი, რომ მსგავსი სისულელე გაუაზრებლად ეთქვა, რადგან, მისი ნათქვამი, თავის მართლების ნაცვლად აღიარებით ჩვენებას უფრო დაემსგავსა, - კარგს ვჭამდით და კარგს ვსვამდით, ქონებასაც კარგად ვაგროვებდით, ვსუქდებოდით და ვმდიდრდებოდით, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს თავზე ვზრუნავდით და ხალხი და ქვეყანა, რა თქმა უნდა, სულ ერთ ადგილზე გვეკიდაო.

შეგნებულად თქვა მან ეს თუ შეუგნებლად, მოდით ამაზე ფიქრით თავს ნუღარ გადავიღლით. თავადვე გაარკვიოს, სისულელეს ჩაეხუტა თუ გააზრებულ ქმედებას.

თემურ ჭკუასელი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, მწერალი, მომღერალი.
www.reportiori.ge

(დასასრული იძნება)

◎ **წერილი რედაქციას**

გაძარცული ტყეები

ბევრი კანონი დარეგულირდა სახელმწიფოში. ეს არ ითქმის ტყის მასიური ჩეხვის მიმართ. საკითხავია, რას აკეთებს გარემოს დაცვის სამინისტრო, როცა ტყეები სავალალო მდგომარეობაშია: მოჭრილი ხეების ტოტებით ჩახერგილი გზები, ნიაღვრისგან წალეკილი ჭალები, დამშრალი წყლები, ასეთი ადგილებია: საგუბრის ჭოლოს ერემჭალის ტერიტორიები, პირწმინდად განადგურებულია წიწვიანი ხეები. ყველაზე დაცული ბუზმარეთის ტყე იყო, რადგან სახელმწიფო საზღვრის შიგნით იყო მოქცეული. ახლა მიმდინარეობს ამ ტყის „ათვისება“. ამას ხელს უწყობს მესაზღვრეთა დაუდევრობა: ნებისმიერ დროს საზღვრის კარს უღებენ ტყის ქურდებს, იმათ კი ეს „მომსახურება“ ძალიან აწყობთ.

ნაციონალების ბატონობის დროს მეტყევედ მუშაობდნენ გია ჩილინგარაშვილი და ივანე გზირიშვილი, რომლებსაც ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვით ზემოთ ხსენებული ადგილების ტყის გაჩეხვაში. როცა მთავრობაში „ოცნება“ მოვიდა, ეს პიროვნებები იმალებოდნენ, ვაი თუ ჩვენც ციხეში ამოვყოთ თავიო. პირიქით მოხდა, ადიგენის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ მეტყევედ წოდებული ივანე გზირიშვილი 1300-კომლიან სოფელ უდეს თავკაცად დანიშნა.

რათა გაიადვილონ ხე-ტყის გამოტანა სამანქანო გზამდე, შეიძინეს ცხენები. დაახლოებით 15 კაცია ამ ბრაკონიერთა ჯგუფში, ზოგმა მათგანმა შეშის ზიდვის დროს ადამიანი შეინირა, თუ დამნაშავეს სასამართლომ ფულადი ჯარიმა დააკისრა, ის თავის ჯიბიდან ერთ თეთრსაც არ გადაიხდის, ისევ ტყიდან შემოსულ ფულს შეიტანს ხოლმე.

ადრეც და ახლაც პირდაპირ სახერხ დაზგასთან არ მიაქვთ ხე-ტყე, სიფრთხილეს იჩენენ, არ შეგვამოწმონო – სოფლიდან მოფარებულ ადგილებში მალავენ, მერე ცოტ-ცოტა მიაქვთ საკუთარ ხერხზე დასახერხად.

სანამ კერძო ხერხი არ იქნება ლიკვიდირებული, ტყეს არაფერი ეშველება.

კომუნისტების დროს ერთი კარგი წამოწყება არსებობდა: იყო მუშა ჯგუფი, რომელსაც ევალებოდა ტყიდან უვარგისი, ჭიანი ხეების გატანა, სოფლის გარეთ დიდ მინდორში ყრიდნენ. ნებისმიერ მსურველს შეეძლო დაწესებული თანხის გადახდა და შეშად წაღება. ამით ტყეც იწმინდებოდა ნარჩენებისგან, თან გლეხს აღარ უხდებოდა ტყეში წასვლა.

გარემოს დაცვის სამინისტროში ისეთი ბარიერია შექმნილი, ახლოს ვერ მიეკარები, რომ აცნობო არსებული მდგომარეობა. ყველას უკვირს ამ ტყეს პატრონი არ ჰყავსო? მართლაც რომ არავინაა გამკითხავი.

გოგა ხაჩიძე ნაციონალებმა დანიშნეს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად, შემდეგ გარემოს დაცვის მინისტრად, იმ ხნიდან მოყოლებული დღესაც მიმდინარეობს ტყეების განადგურება, ხაჩიძე პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა იჯდეს.

ნუთუ მთავრობამ, სამართალდამცავებმა არ იციან, რა ხდება ადიგენის, კერძოდ, უდეს ტერიტორიაზე არსებულ ტყეების გაჩეხვასთან დაკავშირებით?

ჯერ არავინ დასჯილა, თუმცა, რა თანხაც გინდა შეაწერო, გადაიხდიან, რადგან ასჯერ მეტი აღებული აქვთ. ასე რომ, ამ ხალხს აშკარად ვიღაც მფარველი ჰყავს „ზევით“.

გ. აბულაძე, მ. მერაბიშვილი, თ. თათოშვილი, ო. მერაბიშვილი.

◎ **ბაზარი**

თვის ბოლომდე გაძვირება დაიწყება

რამდენიმე დღეში ყველა ტიპის პროდუქციაზე ფასები გაიზრდება. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ლარის კურსია. ახალი წლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო ერვნული ვალუტა ისევ გაუფასურდა, თუმცა, არც მოსახლეობა და არც მოვაჭრეები ასეთ ვარდნას არ ელოდნენ. სავალუტო ჯიხურებში 1 დოლარი 2 ლარის ნიშნულს მიუახლოვდა.

სწორედ ამიტომ იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასი თვის ბოლომდე გაიზრდება, რასაც დაუფარავად ადასტურებენ სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები. ახალი წლის დღეებში გაზრდილი ფასები კიდევ უფრო ამაღლდება.

კომპანია „ჯი დი ჰოლდინგის“ ხელმძღვანელი უტა მაზიაშვილი ამბობს, რომ ლარის კურსის მკვეთრი დაცემის გამო, ფასი გაიზრდება ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზეც, რადგან მწარმოებლებს ნედლეული სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ.

ლარის გაუფასურების გამო წლის დასაწყისიდან კვების პროდუქტებზე ფასები უკვე გაიზარდა. ერთ-ერთი უმსხვილესი სადისტრიბუციო კომპანია „შარმ ტრეიდინგის“ დირექტორი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ იანვარში ფასების 5%-ით გაძვირება მოუხდათ. ვახტანგ საძაგლიშვილის თქმით, თუ ლარის კურსი 2 ნიშნულს არ ასცდა, მაშინ ფასების მორიგი გაძვირება არ მოხდება.

კვების პროდუქტების ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორი „ლუქსი 2004“-ის გენერალური დირექტორი კი ამბობს, რომ იმპორტიორები პირდაპირ დამოკიდებული არიან ლარის კურსის ცვლილებაზე და ფასის მატებაც ლარის გაუფასურების ადეკვატურად ხდება. გურამ ბროძელის თქმით, კურსის მერყეობის პირობებში შეუძლებელია იმპორტიორმა ფასები შეინარჩუნოს. ბროძელის თქმითვე, ფასების მატება მტკივნეულად ძირითადად საკვებ პროდუქტებზე ხდება.

მოვაჭრეთა ნაწილი ამბობს, რომ მაღალი საახალწლო ფასები ჯერ კიდევ შენარჩუნდა, რაზეც გარკვეული გავლენა ლარის კურსმაც მოახდინა. გლდანის სამომხმარებლო ბაზრის მოვაჭრე რიმა ცირდავას თქმით, ამგვარ ფასს იანვრის ბოლომდე შეინარჩუნებს, მაგრამ ლარის კურსი თუ არ დაბალანსდება, თითქმის ყველა დასახელების სურსათი ისევ გაძვირდება.

„წესით, ამ პერიოდში საახალწლოდ გაძვირებულ პროდუქტზე ფასი დაბლა იწევს, მაგრამ ახლა განსხვავებული ტენდენციაა, რომელიც ლარის კურსს უკავშირდება. ბუნებრივია, მისი გაუფასურება სურსათის ფასზეც აისახება. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ საყოფაცხოვრებო თუ საკვებ პროდუქტს, რომელიც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გაიაფდა. ასეთი რამ არ მომხდარა, პირიქით, გაძვირდა კიდეც და ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება. ფასის მატება არც ერთი მოვაჭრის ინტერესში არ შედის, ამით მომხარებელს ვკარგავთ, მაგრამ სხვა გზაც აღარ გვრჩება. ქვეყანაში ყველაფერი ძვირდება. სანამ კურსი არ დაბალანსდება, მომხმარებლის სასიკეთოდ ვერაფერს შევცვლით. ამიტომაა, რომ საახალწლო მაღალი ფასი ჯერ კიდევ ძალაშია, მთავარია, კიდევ არ გაძვირდეს, გაიაფებაზე საუბარიც ზედმეტია“, – ამბობს მოვაჭრე.

ლარის გაუფასურება უბრალო მოქალაქეებზე პირდაპირ და ძალიან სწრაფად აისახება. ბაზრებში პროდუქტები უკვე გაძვირდა. განსაკუთრებით კი ის, რომელიც ქვეყანაში უცხოეთიდან შემოდის. მოვაჭრეები ამბობენ, რომ ფასები გაიზარდა, კლიენტები შემოაკლდათ, ხალხი ხარჯის გაწევას ერიდება, ხოლო მათთვის გადასახადი არ შემცირებულა, შესაბამისად, ცუდ დღეში არიან.

მთავრობას სასწრაფოდ რეაგირებისკენ მოუწოდებენ ექსპერტები. მათი აზრით, ამჯერად გამოსავალი ეროვნული ვალუტის კურსის ხელოვნური გამყარებაა. საამისოდ კი ეროვნულმა ბანკმა რეზერვები უნდა დახარჯოს. **„ეროვნული ბანკის პოლიტიკა განსხვავებული უნდა იყოს. მთავრობამ და სებ-მა უნდა უზრუნველყოს ლარის სტაბილურობა, თანაც რაც შეიძლება მალე“,** – აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი პაატა შეშელიძე.

ბექა დანელია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ინტერპოლით ძებნილი ზურაბ ადეიშვილი კონსულტაციას უწევს უკრაინის მთავრობას

ინტერპოლით ძებნილი საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრი ზურაბ ადეიშვილი კონსულტაციას უწევს უკრაინის მინისტრთა კაბინეტს. ეს ინფორმაცია დაადასტურა უკრაინის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ, რომელსაც ადრე, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის დროს, საქართველოში სხვადასხვა მაღალი რანგის თანამდებობები ეკავა.

„რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ადეიშვილი ჩართულია ექსპერტის სახით ჯგუფში, რომელიც ანტიკორუფციულ კანონმდებლობაზე მუშაობს. რაც შეეხება მის ოფიციალურ დანიშვნას, მე ასეთი ინფორმაცია არ გამაჩნია. ის კონსულტაციას უწევს უკრაინის მთავრობას და არა მხოლოდ უკრაინისას, აგრეთვე, როგორც მინიმუმი, კიდევ ორი ევროპული სახელმწიფოს“, — განაცხადა 20 იანვარს გეწაძემ ქართული ტელეარხ „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში.

საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრი უკრაინის ანტიკორუფციულ კანონმდებლობაზე მუშაობს

აღსანიშნავია, რომ ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ადეიშვილის კანდიდატურა განიხილებოდა უკრაინის ანტიკორუფციული საბჭოს მეთაურის პოსტზე. ამან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა გამოიწვია. მაშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაიფრთხილა უკრაინის ხელმძღვანელობა, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელთა დანიშვნამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ორი ქვეყნის ურთიერთობებს, აგრეთვე არასახარბიელოდ აისახოს უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების „იმიჯზე“.



როგორც ცნობილია, მიხეილ სააკაშვილზე საქართველოში გამოცხადებულია ძებნა უფლებამოსილებათა გადაჭარბებისა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ბრალდებით. ზურაბ ადეიშვილზეც, რომელმაც ასევე, როგორც პრეზიდენტმა, დატოვა ქვეყანა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების დაკვეთის პასუხად გამოცხადებულია ძებნა ინტერპოლით. ადეიშვილს ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, პატიმრებთან არაადამიანური და დამამცირებელი დამოკიდებულების ორგანიზაციაში, სისხლის სამართლის საჩივრების ფალსიფიკაციასა და დანაშაულებათა ჩადენის პროვოცირებაში. 2013 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ, დაუსწრებლად, ადეიშვილთან დაკავშირებით გამოიტანა წინასწარი დასკვნა. სააკაშვილი და მისი მომხრეები აცხადებენ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ყოფილ ჩინოვნიკებს პოლიტიკური მოტივით სდევნის.

„მაღალი პროფესიონალიზმი“

სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები „მაღალი პროფესიონალიზმით“ განმარტავენ იმ ფაქტს, რომ ის პირნი, ვისაც თანამდებობები ეკავა მის მთავრობაში, ღებულობენ პოსტებს უკრაინის ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე აწარმოებენ საექსპერტო მოღვაწეობას. დღეისთვის უკრაინის მინისტრთა კაბინეტში სამი ექს-ჩინოვნიკია — უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკატერინე ზღულაძე და უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე გია გეწაძე.

„ჩვენი გუნდის წევრები მუშაობენ არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც... ამ ადამიანებს, რომლებიც ამავე დროს არიან პრაქტიკოსებიც, აქვთ მუშაობის გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებში. ავიღოთ კონკრეტული ციფრები და შედეგები — სად იყო საქართველო 2003-2004 წლებში, და რა მიმართულებებით შევძელით, მიგვეღწია წარმატებებისთვის? ასე რომ, მათ გასაგები კრიტერიუმებით ირჩევენ“, — განუცხადა 20 იანვარს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი ვაშაძემ, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, რეკომენდაციებს კანდიდატურებთან დაკავშირებით ამა თუ იმ თანამდებობაზე უკრაინის მთავრობაში აწვდის ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ბანკის მოხსენების თანახმად, 2004-2007 წლებში საქართველომ განახორციელა ყველაზე მეტი ოდენობის ეფექტიანი რეფორმა და გახდა მსოფლიოში ყველაზე რეფორმირებული ქვეყანა. მაგალითად, ქვეყანამ ამ პერიოდში ბიზნესის იოლი წარმოების მხრივ ქვეყნების რეიტინგში 137 ადგილიდან მე-11-მდე აიწია.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში ამ რეიტინგში საქართველოს უკვე მე-8 ადგილი უკავია.

„ღირსების საქმე“

გარდა ქართველი ექს-ჩინოვნიკებისა, უკრაინაში არიან ქართველი მოხალისეებიც, რომლებიც იბრძვიან აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტების წინააღმდეგ, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს. ინფორმაცია მათი ოდენობის შესახებ პირველად გაავრცელა 20 იანვარს გენერალმა გიორგი კალანდაძემ, რომელიც ასევე მონაწილეობს უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში. ამასთან ერთად, ქართველთა უცნობი რაოდენობა იბრძვის სეპარატისტების მხარეზეც.

„საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა ყოველთვის იცვლება, მაგრამ მთლიანად აქ იბრძვის დაახლოებით 100-მდე ქართველი სამხედრო“, — განაცხადა ქართულ ტელეარხში პირდაპირი ეთერით კიევიდან გენერალმა კალანდაძემ.

მან ასევე „შეურაცხმყოფელი“ უწოდა განცხადებას, რომ ქართველი მოხალისეები საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის ღებულობენ მატერიალურ წახალისებას.

„მე მეხმარება ჩემი მეგობარი. სხვა მებრძოლებს — მათი ოჯახები. ჩვენ ვიკვებებით ისევე, როგორც უკრაინელი სამხედროები, მოწინავე ხაზზე. იარაღსაც უკრაინა გვაწვდის... ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ ერთს, რომ საქართველოს მთავრობა დაეხმაროს დაღუპულთა ოჯახებს, ჩვენ კი, ვინც უკრაინაში ვიბრძვით, დახმარება არ გვჭირდება“, — განაცხადა კალანდაძემ.

ამავე დროს საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ უწევს დახმარებას უკრაინაში დაღუპულ მოხალისეების ოჯახებს. ისინი ებრძვიან რუს აგრესორს, რომელიც ამავე დროს ახდენს საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებას“.

ამის შესაბამისად, ექს-პრეზიდენტის ინიციატივით, გაიხსნა ანგარიში სახსრების შესაგროვებლად დაღუპული მეომრების ნათესავებისთვის.

„ვფიქრობ, რომ თითოეულის საზოგადოებრივი მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად, მხარი დაუჭიროს ქართველი გმირების ოჯახებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლაში ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. ამისთვის მე ჩემს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში გავხსენი სპეციალური ანგარიში და დასაწყისისთვის იქ 4 ათასი ლარი გადავრიცხე საკუთარი დანაზოგებიდან. მივმართავ ყველას, ვისაც ასეთი შესაძლებლობა აქვს, შემომიერთდნენ, თუნდაც უმნიშვნელო თანხით. ეს იქნება სწორი და ამავე დროს ჩვენი ღირსების საქმეც“, — დაწერა სააკაშვილმა 21იანვარს ფეისბუქის გვერდში.

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების დროს საქართველოს სამი მოქალაქე დაიღუპა. ორი მათგანი იბრძოდა უკრაინის მხარეს, ერთი კი — სეპარატისტების მხარეს, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პუტინის სამშვიდობო წინადადებებს უკრაინის შესახებ „ოკუპაციის გეგმა“ უწოდა

გაეროსთან ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის სამანტა პაუერის აზრით, რომელიც მან გამოთქვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე უკრაინასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის ინიციატივები მიზნად ისახავს სეპარატისტების დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნებას, აგრეთვე უკრაინაში რუსული სამხედრო კონტინგენტისა და ტექნიკის დაკანონებას.

უკრაინელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ დონეცკის აეროპორტს იძულებულ გახდნენ, ჩაებარებინათ ის, რაც ჯერ კიდევ ერთი

წლის წინათ იყო შესანიშნავი, თანამედროვე აეროპორტი. გმირული და თავდაცვის ეპოპეა 242 დღე გრძელდებოდა“, — ნათქვამია ფეისბუქში მოხალისეთა ბატალიონ „აზოვის“ ცნობაში.

გერმანიის ანტიიმიგრაციული მოძრაობის ლიდერი, რომელმაც ფეისბუქში თავისი ფოტო ჰიტლერის სახით გამოაქვეყნა, გადადგა

ლუტც ბაჰმანმა განმარტა, რომ სურათი იყო ხუმრობა ტიმურ ვერმაშის რომანის „ის კვლავ აქაა!“ პასუხად. წიგნში სატირული ფორმით აღწერილია ჰიტლერის გამოფხიზლება გარდაცვალებიდან 66 წლის შემდეგ. ბაჰმანის თანამებრძოლები ამბობენ, რომ გადადგომა ფოტოსთან დაკავშირებული არ არის.

მერკელმა განაცხადა, რომ გერმანია ისწრაფვის გახდეს შუამავალი მთიანი ყარაბახის კონფლიქტის გადაჭრაში

ბერლინში პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია ეუთოს მინსკის ჯგუფის წევრია და მხარს უჭერს მოლაპარაკებას ყარაბახთან დაკავშირებით იმ ქვეყნების შუამავლობით, რომლებიც ჯგუფის თანათავმჯდომარეებად ითვლებიან. ამასთან ერთად კანცლერმა აღნიშნა, მისი აზრით, რუსეთის ფედერაციის ნეგატიური როლი კონფლიქტის გაჩაღებაში.

განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის დახმარების პროექტი (ASP)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის დახმარების პროექტის **(ASP)** ფარგლებში, იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ ფირმებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი დავალების შესასრულებლად:

ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

„გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევრა შერთულის სარწყავი სისტემის და „გარდიგარდმო“ მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით”

ლოტი-N1 სათავე ნაგებობა, დოუკერი და მაგისტრალი პკ 0+00-დან პკ 41+30-მდე; და
ლოტი-N2 მაგისტრალური არხი პკ 41+30-დან პკ 95+30-მდე და კვანძი N1

ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება სოფლის მეურნეობის დახმარების პროექტის (ASP) სასოფლო ინფრასტრუქტურის კომპონენტის ფარგლებში.

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც, ამასთანავე, გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის) წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე საოპერაციო სახელმძღვანელოში მოცემული სტანდარტული პროცედურების, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

მომსახურების ხანგრძლივობაა 4 თვე. დავალების სავარაუდო დაწყების თარიღის 2015 წლის თებერვალი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:

1. მსგავსი პროექტებისთვის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

საველე ზედამხედველებს და ტოპოგრაფს უნდა გააჩნდეს პროფესიის შესაბამისი განათლება და სულ მცირე 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის თანამდებობაზე.

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი;
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალური აღწერილობა - CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2015 წლის 5 თებერვლის 16 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-66-48
ელ-ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge

◎ მართლმსაჯულება

შედგება პირველი პრეცედენტი?

საქართველოს ისტორიული მნიშვნელობის არჩევნების წინ ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი დაპირება კანონიერ მფლობელთათვის იძულებით ჩამორთმეული საკუთრების კანონის გზით დაბრუნება იყო, მაგრამ „ოცნების“ ახლად დანიშნულმა პროკურორმა თავისი უნიათო ქმედებებით (სხვას ვერაფერს უწოდებენ იურისტები კბილაშვილის უმოქმედობას) დაზარალებულთა ოცნებას ცივი წყალი გადაასხა — კერძო საკუთრება ხელშეუხებელია და მას ვერავინ შეეხებაო. ქონებაწართმეულებმა დაიწყეს სამართლიანობის აღდგენისათვის საკუთარი გზების ძებნა (სამწუხაროდ, მათ შორის იყო სისხლიანი გარჩევაც)

დაზარალებულები მეწარმეები წართმეული ქონების დაბრუნების გზებს ეძებენ

დაზარალებულთა ნაწილმა, კანონიერების აღსადგენად პირდაპირ სასამართლოებს მიმართა. გამოძიების პროცედურას დიდი დრო მიაქვს, მაგრამ ბევრი ქონებააყრილი არ შეეგუა ამას, არც დამატებითი თანხების გაღებას (მასალების ხელახალი მოძიება, ადვოკატის მომსახურეობა და ა.შ) და მიტაცებულის კანონიერად უკან დაბრუნებისათვის დაიწყო ბრძოლა.

ამ მებრძოლთაგან ერთ-ერთი ნავთობბიზნესში დასაქმებული ფირმა „სენტა პეტროლიუმი“ და მისი მფლობელი ზაალ იაკობიძეა. მას თავის დროზე მაშინდელი „ნაცების“ „მოლარის“ დავით კეზერაშვილის მოთხოვნით და ძალდატანებით, იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრის ანალოგიური პროფილის ფირმა „სენტა პეტროლიუმ ჯორჯინს“ („გალფს“) საკუთრებაში დაუმტკიცა 50 ავტოგასამართი სადგური (მათ შორის, იჯარით აღებული), რამდენიმე მიწის ნაკვეთი, ნავთობბაზები და ტრანსპორტი, რომლის დიდი ნაწილის გასხვისება კეზერაშვილმა გადმოფორმებისთანავე მოასწრო. ყველაფერ ამაში „ნაცბუღალტერმა“ იაკობიძეს 23 მლნ. დოლარი გადაუხადა. სასამართლოს ეჭვი გაფორმებული დოკუმენტის სამართლიანობაზე მაშინ გაუჩნდა, როდესაც წამოტივტივდა ციფრი 23 მლნ. რადგანაც ამ ფასში ფირმის გასხვისება ზეწოლის გარეშე წარმოუდგენელი იყო, რადგან „სენტას“ ყოველწლიური მოგება 10მლნ. დოლარს შეადგენდა, მაგრამ ხარბი „ნაცები“ თავის პრინციპებს ულალატებდნენ თუ იაკობიძეს ამ 23 მლნ-ს შეარჩენდნენ. მას ფული მოსთხოვეს. როდესაც უარი მიიღეს, მაკონტროლებლები შეუსიეს. წინა რიცხვებით გაფორმებული ოქმით, უკვე სხვა ფირმის მფლობელობაში გადასულ კომპანიებში შეთითხნილი დარღვევები აღმოაჩინეს და ბენზინგასამართების ყოფილი მფლობელი ციხეში გაუშვეს.

იაკობიძე გისოსებს მიღმა იქამდე ჰყავდათ , სანამ 6 მლნ. დოლარი საპროცესო გარიგებით არ წაგლიჯეს. 12 მლნ. დოლარი ბანკმა წაიღო საინვესტიციო კრედიტების დასაფარად, 3 მლნ. დოლარი კი დაკავებულს ბიუჯეტის (უფრო სწორად „ნაცების“) სასარგებლოდ გადაახდევინეს.

პირველ ოქტომბრამდე იაკობიძე, მის დღეში ჩავარდნილების მსგავსად იყო, შემდეგ გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერის დაპირებებს — უსამართლოდ ქონება-აყრილთათვის წართმეულის დაბრუნებას ელოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც კბილაშვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ კერძო საკუთრება ხელშეუხებელიაო (მიუხედავად მათი წარმომავლობისა), დაზარალებულმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმით ყველა საჭირო დოკუმენტისა და მტკიცებულებების შეგროვება მოახერხა. მართლმსაჯულების პირველმა ინსტანციამ მიიღო გადაწყვეტილება „სენტა პეტროლიუმ ჯორჯიას „მთელი სადავო ქონების დაყადაღებისა, კეზერაშვილის „ხელის ბიჭებმა“ გალფის“ სახელით თბილისის სააპელაციო სასამართლოში იჩივლეს. სასამართლოს სხდომა იანვრის ბოლოს არის ჩანიშნული, რომელმაც საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს „სენტა პეტროლიუმისათვის“ წართმეული ქონების, ამჟამად ყადაღადადებულის, მისი უკანონო მფლობელისათვის კანონიერად ჩამორთმევისა და პირველი მფლობელისათვის დაბრუნების საკითხი, რაშიც იაკობიძე ისევეა დარწმუნებული, როგორც სასამართლოს სამართლიანობაში. ამასთანავე, იგი აპირებს, ნოტარიულად დაუდასტუროს „გალფს“ რომ გადაუხდის თავის დროზე გაღებულ 23 მლნ-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაანგარიშდება 3 წლის განმავლობაში მიყენებული ზარალი და „სენტას“ თანხა აუნაზღაურდება.

სააპელაციოს გადაწყვეტილებას დიდი გულისყურითა და დაკვირვებით ელოდება ფართო საზოგადოება, განსაკუთრებით ქონებააყრილი ბიზნესმენები. დაზარალებულთა გამარჯვების შემთხვევაში, ეს იქნება პირველი პრეცედენტი ქონებააყრილთათვის კანონიერი გზით კუთვნილის დაბრუნებისა, რასაც სპეციალისტთა და ექსპერტთა ვარაუდით, აუცილებლად მოჰყვება სხვა დაზარალებულთა გააქტიურება სამართლის აღდგენის იმედითა და მოთხოვნით.

ზაზა ბილიხოძე

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 568 82-09-84..

◎ ძიუდო

სოფიაში - სათადარიგო შემადგენლობით

ბულგარეთის დედაქალაქი 7-8 თებერვალს ძიუდოისტთა ევროპის ღია თასის გათამაშებას უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც სოფიაში გაემგზავრება. იქ მეტწილად სათადარიგოები იჭიდავებენ. საგულისხმოა, რომ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსანი ზებედა რეხვიაშვილი ახალი სეზონიდან 81 კილოში მოსინჯავს ძალებს. კონტინენტურ თასებზე ქვეყნებს თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი მოჭიდავის გამოყვანა შეუძლიათ. ჩვენები სოფიაში ამ კვოტას ოთხ წონაში გამოიყენებენ და ბულგარეთს ასეთი შემადგენლობით ეწვევიან:

60 კგ. ლაშა გიუნაშვილი, პაატა მერებაშვილი, გიორგი ბროლაშვილი, ბაქარ გულბიანი.

66 კგ. შალვა ქარდავა, ვაჟა მარგველაშვილი, მინდია ლილუაშვილი, გიორგი გუგულაშვილი.

73 კგ. ფრიდონ გიგანი.

81 კგ. უშანგი მარგიანი, ზებედა რეხვიაშვილი, ამბაკო ავალიანი, გიორგი პაპუნაშვილი.

90 კგ. ზვიად გოგოჭური, პაატა ღვინიაშვილი, ნოდარ ბერიანი.

100 კგ. ლაშა გურული, ალექსანდრე ზაალიშვილი, იასონ ნემსაძე, იოსებ მსხალაძე.

+100 კგ. ვახტანგ ოქრუაშვილი, ონისე ბუღაძე, გიორგი ბოლოთაშვილი.

ლიდერთა ნაწილი, შესაძლოა, ამ ტურნირიდან ერთი კვირის შემდეგ რომში მსგავს შეჯიბრებაზე ვიხილოთ. დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“, რომელიც 21-22 თებერვალს გაიმართება, საქართველოს ნაკრების ყველა ლიდერი იასპარეზებს.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

ჯობავა წელში ვერ გაიმართა

ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრების **მე-8 ტურში მსოფლიოს ჩემპიონ მაგნუს კარლსენთან (ნორვეგია) დასანანი მარცხის შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ წაგებული პარტიების უმრავლესობაში საგრძნობ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, მათ შორის — კარლსენთანაც, და თითო უხეში შეცდომით ყველა ორთაბრძოლა ჩააფლავა.** ასე დაემართა მომდევნო ორ პარტიაშიც სომეხ ლევონ არონიანსა და იტალიელ ფაბიანო კარუანასთან. მე-10 ტურის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ლიუკ ვან ველი (ჰოლანდია) — ჰოუ იფანი (ჩინეთი) 1:0, თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-ლევონ არონიანი (სომხეთი) 0.5:0.5, ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) 0.5:0.5, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი)-რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი) 0.5:0.5, ივან შარიჩი (ხორვატეთი) — ანიშ გირი (ჰოლანდია) 0:1, დინ ლიჟენი (ჩინეთი) — სოუ ვესლი (აშშ) 0.5:0.5.

10 ტურის შემდეგ: კარლსენი — 7.5, სოუ ვესლი, ვაშიე — ლაგრავი — 6.5-6.5, გირი, კარუანა, ივანჩუკი, ლიჟენი — 6-6, რაჯაბოვი, ვოიტაშეკი — 5-5, არონიანი — 4.5, ვან ველი — 3.5, ჰოუ იფანი, შარიჩი — 3-3, ჯობავა — 1.5 ქულა.

შეჯიბრების მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს მე-11 ტურში ითამაშებენ: გირი — ვან ველი, სოუ ვესლი — შარიჩი, ვოიტაშეკი — ლიჟენი, კარლსენი — ვაშიე — ლაგრავი, არონიანი — ივანჩუკი, კარუანა — რაჯაბოვი, ჰოუ იფანი — ჯობავა.

ლაშა დიდია

„პრასნაია პოლიანა“ — ქალების განკარგულებაში



ფიდეს შარშან უნდა გაემართა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორი ქვეყანა არ გამოჩნდა. ორიოდე დღის წინათ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ 64 უძლიერესი დიდოსტატი ქალი 16 მარტს სოჭში, კრასნაია პოლიანაში შეიკრიბება და 7 აპრილამდე ისინი ნოკაუტსისტემით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეჯიბრებაში ხუთი ქართველიც ითამაშებს — ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სალომე მელია და მერი არაბიძე. ტიტულისთვის პაექრობაში ვერ ჩაებმება ნანა ძაგნიძე, რადგან იგი მეორე შვილს ელოდება.

ლექსო ციცაძე

◎ ფეხბურთი

„ბარსელონა“ მადრიდში მინიმალური უპირატესობით ჩავა

ესპანეთის **თასის 1/4 ფინალურ ეტაპზე ყველაზე დიდ ინტერესს „ნოუ კამპზე“ გამართული დაპირისპირება იწვევდა: „ბარსელონა“ მადრიდის „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ.**

მიმდინარე სეზონში ეს კლუბები ერთმანეთს მეორედ დაუპირისპირდნენ „ნოუ კამპზე“ და გამარჯვებული ამჯერადაც „ბარსელონა“ გამოვიდა, თუმცა ლა ლიგის მატჩთან შედარებით ლუის ენრიკეს გუნდს ბევრად უფრო გაუჭირდა. შეხვედრა დაბალ ტემპში მიმდინარეობდა და ძალიან ცოტა მომენტები იქმნებოდა. უნდა ითქვას, რომ შეხვედრა არც უხეშობით გამოირჩეოდა. პირველ ნახევარში მასპინძლებს ორი რეალური შანსი ჰქონდათ — ნეიმარს იან ობლაკმა აუღო, ხოლო ლუის სუარესმა ახლო მანძილიდან გადააცილა კარს. სტუმრები კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და ერთ-ერთ ეპიზოდში ანტუან გრიზმანი კინალამ ტერ შტეგენთან პირისპირ დარჩა. ფერნანდო ტორესის გადაცემა პიკემ ჩაჭრა, თორემ კატალონიელთა კართან სერიოზული ხიფათი შეიქმნებოდა.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსად წარიმართა. რეალური საგოლე მომენტები არ იქმნებოდა, ხოლო ნახევარმომენტებს „ბლაუგრანა“ უფრო ხშირად ქმნიდა. შეხვედრის ბედი 85-ე წუთზე გადაწყდა: ხუანფრანის მიერ სერხიო ბუსკეტსის წაქცევის გამო ხოსე ლუის გონსალესმა ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. მსაჯის გადაწყვეტილებას სტუმრები არ ეთანხმებოდნენ და მწვავედ აპროტესტებდნენ, რისთვისაც გონსალესმა გაბის ყვითელი ბარათი უჩვენა. 11-მეტრიანი, რასაკვირველია, ლიონელ მესიმ შეასრულა, რომელსაც იან ობლაკმა აუღო, მაგრამ დამატებაზე ყველას არგენტინელმა დაასწრო და „ბარსელონას“ მოაგებინა — 1:0. „ბარსელონა“ ერთ კვირაში მინიმალური უპირატესობით ჩავა „ვისენტე კალდერონზე“, სადაც ურთულესი შეხვედრა ელოდება.

ძალიან გაუჭირდა „ვილიარეალს“, რომელიც შინ ხვდებოდა „ხეტაფეს“. „ყვითელმა წყალქვეშა ნავებმა“ მხოლოდ შეხვედრის ბოლოს მოახერხეს გამარჯვების მოპოვება. 85-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ბრუნო სორიანომ შესანიშნავი საჯარიმო შეასრულა და თავის გუნდს მინიმალური უპირატესობა მოუპოვა განმეორებითი შეხვედრის წინ — 1:0, „მალაგა“ — „ბილბაო“ 0:0.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

იწყება ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

ოლიმპიური ჩემპიონების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი წლეულს ორ ქალაქში გაიმართება. ტურნირი სტარტს 25 იანვარს აიღებს და მისი ჯგუფური ეტაპი თბილისში, საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ჩატარდება, ხოლო ფინალურ მატჩს ოლიმპიური ჩემპიონების მშობლიური ქალაქი ქუთაისი უმასპინძლებს.



აღსანიშნავია, რომ მემორიალის 10-წლიან ისტორიაში ფინალური მატჩი ქუთაისში პირველად ტარდება და ადგილიც ზუსტადაა შერჩეული: სატიტულო მატჩს ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის ქუთაისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

საკანდელიძე-ქორქიას მემორიალში წელს სუპერლიგის ყველა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. 8 გუნდი ტრადიციულად 2 ჯგუფშია გადანაწილებული და 1 წრის შემდეგ ჯგუფის საუკეთესონი ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან.

სეზონის დაწყების წინ გამართულ კლუბების თავკაცთა შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილებით მემორიალზე გუნდები ჯგუფებში სუპერლიგის პირველი წრის შედეგების მიხედვით არიან გადანაწილებულნი. „ა“ ჯგუფში თავმოყრილნი არიან 1, 4, 5 და 8 ადგილებზე მყოფი გუნდები, ხოლო „ბ“ ჯგუფში — 2, 3, 6 და 7.

შესაბამისად, ჯგუფებმა შემდეგი სახე მიიღო:

„ა“ — დინამო, შსს-აკადემია, ბათუმი, მგზავრები-არმია

„ბ“ — რუსთავი, ქუთაისი, ოლიმპი, სოხუმი.

ჯგუფური ეტაპის თამაშები 25, 26 და 27 იანვარს ვაკეში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართება. ფინალში გასული გუნდები ქუთაისში გაემგზავრებიან, სადაც 28-ში ივარჯიშებენ და 29 იანვარს, ოლიმპიური ჩემპიონების - ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის დარბაზში, ამ ლეგენდარული სპორტსმენების მემორიალურ თასს ერთმანეთს ფინალურ მატჩში შეეცილებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კატერინა ვები - ბელგიელთა თილისმა

თქვენ გგონიათ, რომ ბელგიაში მხოლოდ კარგ მონასტრულ ლუდს ამზადებენ და იმის იქით არაფერი ეხერხებათ? არაფერიც! ბელგიაში ფეხბურთსაც დაშხოშიანად თამაშობენ და ქომაგობაც ისეთი იციან, მოყვარეს რომ გულს გაუხარებს და მტერს კი ნერვებს მოუშლის.

ბელგიის საფეხბურთო ნაკრები უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად კარგი გუნდი გახდა და ეს ამ კრებულის პოპულარობაზეც აისახა, ბელგიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქომაგი კი ამ გუნდის თილისმად დასახელებული მოდელი კატერინა ვებია.

კატერინა წარმოშობით ბელგიის ქალაქ გენტიდანაა და ერთ დროს თვითონაც აგორებდა ბურთს. მას ხშირად დალანდავთ სტადიონის ტრიბუნაზეც და ბელგიის ნაკრებს თურმე ბრაზილიაშიც კი გაჰყოლია უკანასკნელ მუნდიალზე. ქომაგობა კარგი საქმეა და ამ ქალს ისეც რომ არაფერი დაეწუნება, ამას თქვენც მშვენივრად ხედავთ...

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს ეკლესია გლოვობს, მშობლიურ მიწას მიაბარეს საყვარელი მეუფე, მიტროპოლიტი თადეოზი

გუშინ სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში მარაბდელი მიტროპოლიტის თადეოზ იორამაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა.

პანაშვიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მღვდელმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად შეასრულა. ტაძარში იმყოფებოდნენ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების მღვდელმსახურნი, ბერები და მონაზვნები, მრევლი, გარდაცვლილის ახლობლები. პანაშვიდის დაწყებამდე კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა.

პატრიარქის თქმით, მეუფე თადეოზმა განვლო რთული გზა, ისევე როგორც ჩვენ ყველამ. მაგრამ, აი, ამ სირთულეში შეიძლება ადამიანმა დაკარგოს ის მთავარი, რაც უნდა ახსოვდეს მღვდელმთავარს. უწმინდესის თქმით, მეუფე თადეოზი იყო ის პიროვნება, რომელიც მუდამ თხოულობდა შენდობას ნებისმიერი წირვისა და ლოცვის დროს, იგი მოდიოდა და ითხოვდა შენდობას.

„ღმერთმა ხელი მოუმართოს მეუფეს, ღმერთმა დალოცოს მისი გზა, ღმერთმა დააწესოს მისი უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ“, — ბრძანა უწმინდესმა.

მარაბდელი მიტროპოლიტი თადეოზი სიონის ტაძრის ეზოში დაკრძალეს.

◎ ვერნისაჟი

„ნადირობა ინდოეთში“ კვლავაც გრძელდება

ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლე უმალ საზოგადოების უდიდეს ყურადღებას იპყრობს. მით უმეტეს, თუკი საქმე მისი ნაკლებად ცნობილი, თანაც მიზეზთა გამო დიდად დაზიანებული ნამუშევრის აღდგენას, „ხელმეორედ დაბადებას“ ეხება.

ასე მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ, როცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში დამსწრე საზოგადოებას დიდი მხატვრის „ნადირობა ინდოეთის“ რესტავრაციის მეორე ცდა გაცილებით წარმატებული, თუმცა კი დროში საკმაოდ გაწელილი გამოდგა. მისი მოსამზადებელი სამუშაოების პირველი ეტაპი ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო და შარშან წლის მიწურულს დასრულდა. ათი წლის განმავლობაში რესტავრატორები **ნანა მანაგაძე და ეველინა კარსელის** მთავარი საქმე ფიროსმანის ნახატის აღდგენა იყო, თუმცა კი, პარალელურად სხვა მხატვართა ნამუშევრების რესტავრაციაზეც მუშაობდნენ.

რესტავრატორი ეველინა კარსელი

ახლად რესტავრირებული ფერწერული ტილო **„ნადირობა ინდოეთში“** სრული სახით პირველად წარუდგინეს.

საქმე ის არის, რომ ხელოვნების მუზეუმის თანამედროვე ქართული ფერწერის საინვენტარო წიგნის ჩანაწერის თანახმად, „ნადირობა ინდოეთში“ მუზეუმმა 1939 წელს მწერალ სერგო კლდიაშვილისგან შეიძინა. ამასთან, სურათის ზედა ნაწილიდან მიმავალი კაცის ფიგურიანი ფრაგმენტი იყო ამოჭრილი, თუმცა, მოგვიანებით მუზეუმმა სურათის ეს ნაწილიც შეიძინა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ამ ფრაგმენტის შესყიდვის თარიღი და მფლობელის ვინაობა ცნობილი არ არის. ბოლოს ეს ამოჭრილი ფრაგმენტი თბილისში 1938 წელს, მეტეხის მუზეუმის ცნობილ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. დიმიტრი შევარდნაძის დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ კი „ნადირობა ინდოეთში“ ხელოვნების მუზეუმის ფონდში დახვეულ მდგომარეობაში ინახებოდა. 1970-იან წლებში მისი რესტავრაციის პირველი მცდელობა იყო, მაგრამ ტილოს ძლიერი დაზიანების გამო ამის გაკეთება ვერ მოხერხდა.

— „ნადირობა ინდოეთში“ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ეს საკმაოდ დიდი, დაახლოებით ორი მეტრის ტილო ალაგ-ალაგ დახეული, საღებავები კი დანაპრალებული იყო, — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში რესტავრატორმა ეველინა კარსელმა. — სურათის სრულფასოვნად აღსადგენად ახალი სპეციალური ტილო იყო საჭირო, რომელიც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა და ძველმა მეგობრებმა ჰამბურგის ეროვნული მუზეუმიდან „კოუნსტჰაალედან“ გამოგვიგზავნეს, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებთ. ის ტილო ნახატზე გადავჭიმეთ და უშუალოდ რესტავრაციის პროცესს ამის შემდეგ შევუდექით. ახლა ჩვენი შრომა დასრულებულია და ნიკალას შედევრით დატკბობის შესაძლებლობა მისი შემოქმედების ყველა ტრფიალს იანვრის ბოლომდე შეეძლება.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა
ნადარეიშვილის ფოტო.

არდავიწყება

მიხეილ შონია

რა ჩქარა გადის დრო. 40 დღე მიილია მის მერე, რაც აფხაზეთის მკვიდრის, გალის რაიონის სასიქადულო მამულიშვილის **მიხეილ ბაგრატის ძე შონიას** ცხედარი მიიბარა დედაქალაქის მიწამ, ხოლო მისი ნათელი სული ზეციურ სასუფეველში გადაბრძანდა. სიკვდილის მერეც ვერ ეღირსა მშობლიურ კუთხეში დაბრუნება ამ პატიოსან ადამიანს.

აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, უამრავი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელო წიგნების ავტორი — აი, ასეთი ადამიანი წავიდა ამქვეყნიდან, დატოვა ტკივილი და მონატრების განცდა.

ბატონი მიშა — ასე ეძახდნენ მას მეგობრები და ახლობლები.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა უკავშირდებოდა განათლების სისტემას და მომავალი თაობების აღზრდის საქმეს. გადმოცემით ვიცი, რომ იგი იყო მისაბაძი და სამაგალითო ახალგაზრდა როგორც სკოლაში, ასევე სტუდენტობის პერიოდში, წარჩინებული სწავლაში, გამორჩეული თავისი ერუდიციითა და ზრდილობით, საზოგადოებრივი საქმიანობით, მონდომებითა და აქტიურობით.

მის მიერ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებები ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა.

ახალგაზრდობის წლებში მუშაობდა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, საიდანაც გაგზავნეს გალის რაიონის მშობლიურ სოფ. თაგილონის საშუალო სკოლაში, სადაც 19 წლის განმავლობაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. პარალელურად, 13 წელიწადი ხელმძღვანელობდა გალის რაიონის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდურ სექციას. აფხაზეთში პირველმა დააარსა კლუბი „რუსული ენა და ლიტერატურა — სოფლის ქართული სკოლის მოსწავლეთა მეტყველების განვითარების, ეროვნული და ინტერნაციონალური აღზრდის საშუალება“. ამ კლუბის მუშაობაში ჩართული იყო აფხაზეთის სკოლების გარდა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და უკრაინის ერთ-ერთი რეგიონის რამდენიმე სკოლა.

1970 წელს ქ. ლენინგრადში გამართულ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე მ. შონიას მოხსენებამ მაღალი შეფასება მიიღო და აღინიშნა მეორე ფულადი პრემიით, საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმის, განათლების სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომითა და საპატიო სიგელით.

იგი უდიდესი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც თავის მშობლიურ რაიონში, ასევე აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს პედაგოგიურ და სამეცნიერო წრეებში.

1992-1993 წლების რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, სხვა მრავალათასიან თანამემამულესთან ერთად, მასაც მოუწია სოფ. თაგილონში საკუთარი კარ-მიდამოს და სოხუმში საცხოვრებელი ბინის მიტოვება.

ზუგდიდის რაიონში დევნილად ყოფნის გარკვეული პერიოდის შემდეგ მისმა გულმა ვერ გაუძლო მშობლიური ადგილების მოშორებას და გადაწყვიტა სოფელში სახლის მონახულება. იმ პერიოდში, ე.წ. „სნგ“-ს სამშვიდობო კონტინგენტი ახალი შემოსული იყო როგორც აფხაზეთში, ასევე სამეგრელოში. ეს ფაქტორი მაშინ, არსებული კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ და ძირითად საშუალებად იქნა მიჩნეული და მოსახლეობაში გაჩნდა იმედი იმისა, რომ ახლო მომავალში ყველას მიეცემოდა საკუთარ სახლებში დაბრუნების რეალური შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, 1994 წლის სექტემბერი ბ-ნი მიხეილისთვის კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა. ზუგდიდის რაიონის, სოფ. შამგონასთან, მდ. ენგურზე გადასვლისას, იქვე, მის სახლთან ახლოს ნაღმზე აფეთქდა და ცალი ფეხი დაკარგა. პირველი დახმარება აფხაზების შეიარაღებული ფორმირების ჯგუფს გაუწევია და იგი მოუთავსებიათ ოჩამჩირის საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში მკურნალობდნენ. შემდგომ, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იგი გადმოყვანილ იქნა ზუგდიდში და გააგრძელა მკურნალობა. მიუხედავად მძიმე ტრავმისა, მან მოკლე დროში შეძლო ჩვეული ენერგიით გაეგრძელებინა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

მიხეილ შონია წლების განმავლობაში მუშაობდა სოხუმის მ.გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში, ბათუმისა და თელავის უმაღლეს სასწავლებლებში.

გასვენების დღეს უამრავი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის პატივსაცემად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის უნივერსიტეტისა და დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მთელი დღის განმავლობაში გვერდით ედგნენ ჭირისუფალს.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ბ-ნი მიხეილის დამსახურებაზე. მათ შორის, აღსანიშნავია ბ-ნი ოთარ ჟორდანიას მიერ წარმოთქმული მეტად შინაარსიანი და ყოვლისმომცველი მოგონებები.

იძინე მშვიდად ძვირფასო ადამიანო, ყოფილიყავი შენი ოჯახის მფარველი.

მძახლები —
ნუგზარ სართანია, მზია ბასარია

◎ ალიან-ჩალიანი

თარგამაძის მეგობარს ავტომანქანა დაუწვეს

მანქანის მეპატრონის დათო მანჯავაძის ინფორმაციით, ავტომანქანას ცეცხლი დაახლოებით 02:30 საათზე გაუჩნდა. შემთხვევა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მოხდა. მანქანის მეპატრონე ამბობს, რომ სახლის სათვალთვალო ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს მამაკაცი, რომელმაც მანქანას ბენზინი შეასხა, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდა. მანჯავიძე მომხდარს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ გივი თარგამაძესთან მეგობრობას უკავშირებს. მანჯავიძე ამბობს, რომ ამ ფაქტით თარგამაძე კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ გაკეთებული ღია განცხადებების გამო გააფრთხილეს.

ბათუმში ავტომობილის დაწვის ეს უკვე მესამე შემთხვევაა. გასულ წელს ავტომობილი დაუწვეს პროკურორ ფრიდონ ქარცივაძეს, რამდენიმე დღის წინ კი, ბიზნესმენ ირაკლი ფარცვანიას.

დათო მანჯავიძის ავტომობილი პოლიციის სპეციალურ ავტოსადგომზეა გადაყვანილი.

შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეცხრე განყოფილების თანაშრომლებმა უკანონო იარაღი ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების **შედეგად, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი** გიორგი ბ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „კა 6-92“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და „მაგნუმის“ მოდელის პისტოლეტი ამოიღეს.

ორთაჭალაში ნარკოტიკების შეძენისთვის დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს თანამშრომლებმა, 50 აბი მეტადონი ამოიღეს.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1990 წელს დაბადებული თამარ გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 2 გრ მეტადონის შემცველი 50 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

◎ ჩვენი კარაბადინი

მოწყვლადი სისხლძარღვები

სიმართლე და მითები ათეროსკლეროზზე

ათეროსკლეროზი — მეტად გავრცელებული დაავადებაა, დღეს ეს დიაგნოზი ყველას უჭედავს ყურს. მაგრამ მეტად ბევრი რამ, რასაც მასზე ლაპარაკობენ, როდი შეესაბამება სინამდვილეს. მოდით, გავერკვეთ, რა არის მართალი და რა — მითი.

ჩვენი ექსპერტია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ნაკაშიძე.

მითი: რაც უფრო ხანდაზმულია ადამიანი, მით უფრო გამოხატული აქვს ათეროსკლეროზი

სინამდვილეში. არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც გვიხსნიან, თუ რატომ ვითარდება ათეროსკლეროზი. ჯერჯერობით არც ერთი არაა მიჩნეული საბოლოოდ, მაგრამ ცხადია, რომ ამას წინ უსწრებდა ორი პროცესი. ჯერ ერთი, ირღვევა განსაკუთრებული ცხიმისმაგვარი ნივთიერებების —ლიპიდების მიმოქცევა, რომლებსაც მათ შორის განეკუთვნება ქოლესტერინიც. მეორეც, სისხლძარღვების კედლები უფრო მოწყვლადი ხდება, რის გამოც ქოლესტერინმა შეიძლება შეაღწიოს მათში და დაგროვდეს, წარმოქმნას ბალთები.

სისხლძარღვებში ათეროსკლეროზული ცვლილებები უცილობლად უჩნდება აბსოლუტურად ყველა ადამიანს. ქოლესტერინის პირველი დანალექები შეიძლება აღმოვუჩინოთ პატარა ბავშვებსაც კი. რაც უფრო მეტი ასაკისაა ადამიანი, მით უფრო მაღალია გამოხატული ათეროსკლეროზის ალბათობა. და მაინც დამოკიდებულება ასაკზე პირდაპირი არაა. არიან ადამიანები, ვისაც ორმოცი წლის ასაკში სისხლძარღვები მოცვეთილი აქვს კრიტიკულ დონემდე, არიან ისეთებიც, ვისაც ცვლილებები სისლძარღვების კედელში არ აქვთ იმდენად ძლიერი, რომ გულ-სისხლძარღვთა კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ბევრი რამაა დამოკიდებული ცხოვრების წესზე — ფიზიკურ აქტიურობაზე, კვებაზე, მავნე ჩვევების არსებობაზე.

მითი: ათეროსკლეროზი აწუხებთ მათ, ვინც ბევრ ცხოველურ საკვებს ღებულობს

სინამდვილეში. ცხოველურ ცხიმებში ხორცი, კარაქი, კვერცხი, რძის პროდუქტები რომ შეიცავენ, ბევრი საკვები ქოლესტერინია. რაც მეტს ჭამს ადამიანი ამ პროდუქტებს, მით მეტი ქოლესტერინი ხვდება სისხლში, ეს კი ათეროსკლეროზის განვითარების რისკის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვეგეტერიანელებს ან მათ, ვინც გულდასმით ადევნებს თვალყურს კერძების ცხიმიანობას, არასოდეს აწუხებთ ეს დაავადება.

ორგანიზმში საკვებთან ერთად აღწევს ისეთი ქოლესტერინის ერთი მესამედი, რომლის ცირკულირებაც ხდება სისხლში, ყველა დანარჩენის სინთეზირებას ღვიძლი ახდენს. იგი ძალიან ბევრ ადამიანს აწუხებს. აქ საქმე გენეტიკურ წინასწარ მიდრეკილებაშია, და დიეტა ასეთ სიტუაციაში ვერ დაგვეხმარება. გამოსავალი ხდება მხოლოდ სტატინების ჯგუფის პრეპარატების მიღება. ისინი ბლოკავენ ქოლესტერინის სინთეზს ღვიძლში, აუმჯობესებენ სისხლძარღვების მდგომარეობას, უკვე არსებული ბალთები ხება უფრო გლუვი. ასეთი წამლები ხელს უწყობენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკას და მრავალგზის ზრდიან იმ ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობას, რომლებსაც ისინი უკვე აწუხებს. მაგრამ პრეპარატების მიღება მუდმივი უნდა იყოს: თუ ამას შევწყვეტთ, ყველაფერი ამოსავალ წერტილს დაუბრუნდება.

სხვათა შორის, სტატინების მიღება —არ არის საბაბი იმისთვის, რომ თვალყური არ ვადევნოთ კვებას. ცხიმიანი საკვების პრობლემა არა მხოლოდ ქოლესტერინშია, არამედ იმაშიც, რომ იგი ძალიან კალორიულია. მისი ბოროტად გამოყენებით ადამიანი ეწევა რისკს სწრაფად მიიმატოს წონაში. ღვიძლი კი, ყოველგვარი ზედმეტი კილოგრამის საპასუხოდ, იწყებს მეტი ქოლესტერინის სინთეზირებას. ამავე მიზეზით მავნებელია, მივიღოთ საკვებთან ერთად ძალიან ბევრი ნახშირწყლები და საერთოდ ვჭამოთ ბევრი (რომ იტყვიან ხოლმე — გავსკდეთ ჭამით) — რაციონი უნდა იყოს დაბალანსებული და შეესაბამებოდეს ჩვენს მიერ ენერგიის ხარჯვას.

მითი: ათეროსკლეროზის ძირითადი შედეგი ინფარქტია

სინამდვილეში. ათეროსკლეროზი ხშირად აზიანებს კორონარულ (გულს რომ კვებავენ) არტერიებს, თანდათან ავიწროებენ მათ საშუქს. რომელიღაც მომენტში ეს, ისედაც პატარა „ნაკადი“, შეიძლება დაიკეტოს შედედებული სისხლით — თრომბით, და მაშინ გული ვეღარ მიიღებს სისხლს,მაშასადამე, ჟანგბადსაც. უამისოდ მას ფუნქციონირება არ შეუძლია, ასე რომ მისი ქსოვილები იწყებენ კვდომას. მათი დაღუპვა არის სწორედ ინფარქტი.

ინფარქტის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან მძიმე, ამიტომ, სწორედ მისი ეშინიათ პაციენტებს ათეროსკლეროზით, უწინარეს ყოვლისა. მაგრამ ქოლესტერინის დანალაქები სისხლძარღვებში — ესაა ყოველთვის გენერალიზებული პროცესი, ის მთელ ორგანიზმში მიდის. ამიტომ ათეროსკლეროზმა შეიძლება მიგვიყვანოს არა მხოლოდ გულის, არამედ სხვა ორგანოების დაზიანებასთანაც. მაგალითად, ერექციის დარღვევა ახალგაზრდა მამაკაცებში შეიძლება დაკავშირებული იყოს სწორედ ამ დაავადებასთან. პენილის არტერიას აქვს პატარა დიამეტრი და მასში ქოლესტერინის დანალაქებს მალე მივყავართ ორგანოს სისხლით მომარაგების დარღვევასთან. ათეროსკლეროზი ხშირად აზიანებს თვალის, თირკმლების, ფეხების სისხლძარღვებს.

მითი: ათეროსკლეროზს ბევრი სიმპტომი აქვს: ტკივილი გულში, მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, მხედველობის დაქვეითება...

სინამდვილეში. ეს სიმპტომებია არა თავად ათეროსკლეროზისა, არამედ იმ დაავადებებისა, რომლებიც განვითარდნენ მის ფონზე. თავისთავად ათეროსკლეროზი არანაირ გამოვლინებას არ ახდენს: ადამიანს არ შეუძლია, იგრძნოს, რომ მისი არტერიების კედლები ხდება ნაკლებად ელასტიური ან რომ მათში ქოლესტერინი გროვდება.

სწორედ ამიტომ კარდიოლოგები ურჩევენ 40 წელზე მეტი ხნის ადამიანებს, რეგულარულად შეიმოწმონ სისხლში ქოლესტერინის დონე. თანაც უნდა ვაკონტროლოთ არა მხოლოდ საერთო ქოლესტერინი, არამედ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების (მათ „ცუდ“ ქოლესტერინსაც ეძახიან) დონეც. ზოგიერთ ადამიანს ათეროსკლეროზი უვითარდება ქოლესტერინის დონის აუმაღლებლად. ამ შემთხვევაში მისი ირიბულად დიაგნოსტირებაში კისრის სისხლძარღვთა ულტრა-ბგერითი გამოკვლევა გვეხმარება.

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ

ათეროსკლეროზის რისკი გაცილებით უფრო მაღალი აქვთ მწეველებს. ნიკოტინის ზემოქმედებით ღვიძლი ზრდის „ცუდი“ ქოლესტერინის სინთეზს. ამიტომ შუა ასაკის ადამიანს, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ეწევა, სისხლძარღვები შეიძლება ჰქონდეს უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე ხანდაზმულს, რომელიც არასოდეს ეწეოდა.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ჩემი** ცოლი ვეგეტარიანელია, მაგრამ ზოგჯერ ჩემ გამო თავის პრინციპებს ღალატობს: ჩემს სისხლს სვამს და ტვინსაც მიჭამს.

* * *

— **ძვირფასო**, მოდი აქ სწრაფად! — ეძახის ქმარი ცოლს. — ნახე, როგორ მოუხატავს ყინვას ფანჯრის მინა.

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ შენ დაგიწერია, დაშა, შე პუტკუნა ძუკნაო.

— მე არა. ყინვამ დაწერა.

* * *

სამი ლოთი სვამს. უცებ ერთი მათგანი გაითიშება და სახით ტალახში ჩაეფლობა.

— აი, რისთვისაც მიყვარს პეტკა, მან მუდამ იცის, როდის შეჩერდეს! — ეუბნება მეორე ლოთი მესამეს.

* * *

ჭკვიანს სულელისგან განასხვავებს იმის ცოდნა, რომ სირეგვნე — ეს უფლებაა და არა მოვალეობა.

* * *

— **კიდევ** ათი ხინკალი მომიტანეთ, თუ შეიძლება, — ეუბნება სახინკლის კლიენტი ოფიციანტს.

— ვერ დანაყრდით თუ მოგეწონათ?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24